წელიწადი მეოთხე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური
და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 5 თებერვალი 1928 წელი | რედაქცია და კანტორა რუსთაველის პროსპ. № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87 ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე | № 55 (3)

## ჟურნალის შინაარსი

ამხ. სანდრო გვიმბრაძის გარდაცვალების გამო; 7 საათის სამუშაო დღისათვის—**ნ. ელიავა**; მენშევიზმის ერთ-ერთი სახეობა—**კ. ჯავრიშვილი**; კლასთა ბრძოლა გერმანიაში და სოც.-დემ. როლი—**ს. ელიაძე**; სოციალ-მოღალატენი ორივე ფრონტზე მუშაობენ—**კ. ქეიშვილი**; ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ—**ლეო შენგელაია**; მეც მომისმინეთ – **ნიკო ბერიძე**; ხელოვნების საკითხების ირგვლივ—**პ. გელეიშვილი**; მუშათა უბნის კულტურა ცენტრისას უნდა დაეწიოს—**ი. ჯავახიშვილი**; ერთი კვდება, მეორე იბადება—**შოთა გოგუა** შორაპნის მაზრის ყოფ. ახ. მარქსისტთა ხმა; „მეტების კრიალოსანი"—**უპარტიო**; მუშათა თეატრი—**მანი**.

„**ახალი გზის**" **რედაქცია** ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგ მკითხველებს და თანამშრომლებს, რომ 2 თებერვალს გარდაიცვალა მისი ძვირფასი თანამშრომელი, რკინისგზელი მუშა რევოლიუციონერი

**ამხ. სანდრო ივანეს-ძე**
**გვიმბრაძე**

გამოსვენება დანიშნულია კვირას 5 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე საკუთარი ბინიდან, პარკოფელის ქუჩა, № 18.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფ. კოლეგია მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 2 თებერვალს გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი კოლეგიის წევრი ძველი მუშა რევოლიუციონერი ამხ.

**სანდრო ივანის-ძე**
**გვიმბრაძე**

დაკრძალვა მოხდება კვირას 5 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე საკუთარი ბინიდან, ფარკოფელის ქ. № 18.

## ამხ. სანდრო გვიმბრაძის გარდაცვალების გამო



ნაძალადევის უბანში გლოვის ზარმა დარეკა. ნაძალადეველთა ოჯახს მოაკლდა ერთი ჩინებული წევრი. საქართველოს რევოლიუციონერთა ძველმა გვარდიამ დაჰკარგა რევოლიუციის ცეცხლში გამომწვარი, დაუღალავი მებრძოლი ამხანაგი **სანდრო გვიმბრაძე**, რომელიც თით ქმის მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ენერგიულად ემსახურა მუშათა საქმეს, მთელი ამ დიდი დროს განმავლობაში დაუღალავად ებრძოდა თვით მპყრობელობას და, რომელიც სიკვდილის წუთებამდე ძველებურის ენერგიით ემსახურებოდა უდიდესი რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცების საქმეს.

ამხ. გვიმბრაძე ერთობ პოპულიარული პიროვნებაა საქართველოს პროლეტარიატის ოჯახში, რომ მასზე ბევრი წერა და ლაპარაკი საჭირო იყოს. მაგრამ მუშათა ახალ თაობას მაინც გვინდა ამ რამდენიმე სტრიქონებით მაინც მოვაგონოთ მისი მებრძოლი სული მის მიერ გავლილი ბრძოლის გზა.

ვინ იყო ამხ. **სანდრო გვიმბრაძე?**

ყოფილ ახალგ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალური ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 2 თებერვალს გარდაიცვალა თავდადებული მუშა რევოლიუციონერი ამხ.

## სანდრო ივანეს-ძე
# გვიმბრაძე

გამოსვენება დანიშნულია კვირას 5 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე საკუთარ ბინიდან ფარკოფელის ქუჩა № 18.

ის იყო რაჭველი ღარიბი გლეხის შვილი. სოფლის სკოლის გათავების შემდეგ, ნიჭიერი ბავში შედის თბილისის საბაღოსნო სკოლაში, რომელსაც წარჩინებით ათავებს 1907 წელს და ინიშნება მევენახის თანამდებობაზე კახეთში, წინანდალის საუფლისწულო მამულში.

**ამხ. სანდრო** საბაღოსნო სკოლის უკანასკნელ კლასებშივე გაეცნო რევოლიუციონურ წრეებში მომუშავეებს. აქ ის ბევრს კითხულობდა და სწავლობდა მარქსისტულ ლიტერატურას. მაგრამ კახეთში იწყება მისი ფართე პოლიტიკური მოღვაწეობა, აქ შლის ფრთებს მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი. ის მთელი თელავის მაზრის მასშტაბით იწყებს არალეგალურ ს.-დ. ორგანიზაციების მოწყობას, რომლის კომიტეტის თავმჯდომარეც თვითონ არის. აქ მთელი სამი წელიწადი გრძელდება მისი უაღრესად ნაყოფიერი მუშაობა. მალე ის იძულებულია არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდეს. მაგრამ ეს ვერ შველის. მას ფეხდაფეხ დასდევენ ჯაშუშები და ის იძულებულია კახეთიდან გაიქცეს და ბაქოში შეაფაროს თავი. 1910 წლიდან ის ბაქოშია, სადაც პროფესიონალურ არალეგალურ მომუშავეთ ითვლება.

აი, აქ იფურჩქნება მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი, აქ იჩენს იგი უდიდეს ენერგიას პარტიულ მუშაობაში. ის აქ ხელმძღვანელობს ბიბიეიბათისა და ბალახანის ს.-დ. ორგანიზაციებს... და იმავე დროს იგი ახერხებს კულტურულ **ფრონტზე** მუშაობასაც: ის აარსებს სამხატვრო - სალიტერატურო წრეს, რომელიც მიზნად ისახავს ბაქოში მრავლად გაფანტულ მუშა - მოსამსახურეთა ერთად შეკავშირებას და მათ გონებრივად და პოლიტიკურად ამაღლებას. ამ წრეს აქვს ჩინებული ბიბლიოთეკა, იგი მართავს პოპულიარულ ლექციებს ქართულ ენაზე ლიტერატურიდან, ისტორიიდან და მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან.

1912 წლის დასაწყისში სანდრო იძულებულია ხელახლა დაუბრუნდეს ჭერქვეშ ცხოვრებას. საქმეს ვერც ეს შველის და ის ამხანაგების ენერგიული დახმარებით ახერხებს სპარსეთში გაქცევას.

სპარსეთში ის შედის უბრალო მუშათ, აკაკი ხოშტარიას ხე-ტყის წარმოებაში. სპარსეთში ხოშტარიას დიდძალი ქართველი მუშები ჰყავდა, რომლების შესახებაც ამხ. სანდრო შემდეგსა სწერს გაზეთ „ახალ გზა“-ში:

„სპარსეთში აკაკი ხოშტარიასთან გამორბოდენ აქ, სამშობლოში, უმუშევრად დარჩენილი მუშები და გლეხები. იქ მრავლობით იყრიდენ თავს ისეთი რევოლიუციონერი მუშები, რომლებსაც აქ, საქართველოში, ჟანდარმები დასაჭერად დასდევდენ. ასეთი მუშა რის ვაი-ვაგლახით იშოვნიდა სხვის პასპორტს, დაირქმევდა სხვის სახელს და გარბოდა სპარსეთისაკენ... ერთი სიტყვით, აკაკი ხოშტარიასთან გარბოდა ყველა ის, ვისაც თავის სამშობლოში ბედი არ სწყალობდა და მისიც უკან დაბრუნება სახიფათო იყო“. (იხ. „ახ. გზა“, № 30, 1927 წ.)

ერთი ამ უკანასკნელთაგანი იყო ამხ. **სანდრო გვიმბრაძეც**, რომლის რევოლიუციონური ენერგია არც სპარსეთში ისვენებს. ის აქ პირველ დღიდანვე იწყებს წრეების მოწყობას და სულ რამდენიმე თვის განმავლობაში აწყობს მუშების გაფიცვას, რომელსაც ასე აგვიწერს თვითონ ამხანაგი სანდრო ზემოთ დასახელებულ წერილში:

„ქართველი მუშების ასეთი მდგომარეობა კარგად იცოდა მოქ. ხოშტარიამ და მისმა აგენტებმა და ისინი ჩინებულად სარგებლობდენ ამ გარემოებით. რაღა ბევრი შევაწყინოთ: უმისოდაც კარგათ მიხვდებით, რომ სპარსეთის ტყეებში აუტანელი იქნებოდა მუშების მდგომარეობა... და დიდი მოლაპარაკებისა და მითქმა-მოთქმის შემდეგ სოფელ ტულორუდში ხე-ტყის მუშებმა გაფიცვა მოახდინეს. გაფიცულთა რიცხვი 2000 კაცს აღემატებოდა. გაფიცულებმა ხოშტარიას წარუდგინეს მოთხოვნილება შრომის ხელფასის გადიდებისა და საერთოდ შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ“. (ახ. გზა“, № 30.).

სპარსეთში სანდრო არალეგალურ მუშაობასთან ერთად აწარმოებდა კულტურულ მუშაობასაც. აქ მან მუშებს დაუარსა კლუბი, ბიბლიოთეკა, თავი მოუყარა სცენის მოყვარეთა ჯგუფს, რომელიც ხშირად მართავდა ქართულ წარმოდგენებს...

ერთი სიტყვით სანდრო თავს თავის სფეროში გრძნობს. მაგრამ გავარდა მსოფლიო ომის პირველი მეხი. მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე ისტორიამ დააყენა ყოფნა - არყოფნის საკითხი... და სანდრომ იგძნო სულით ობლობა დახავსებულ სპარსეთში. ის გამორბის ბაქოში, რომ იქ იარაღით ხელში დადგეს მუშათა ინტერესების სადარაჯოზე. ის ახლა მუშათა მოძრაობის შიგ გულში ტრიალებს. ის დღე და ღამე მუშაობს. მაგრამ ის აქ ერთ წელიწადსაც ძლივს ახერხებს თავის შენახვას. მას ფეხ-დაფეხ დასდევენ დასაჭერად და სანდრო ძლივს ახერხებს სპარსეთში გაქცევას. ის აქ ხელ-ახლა კიდებს ხელს შეწყვეტილ მუშაობას. მაგრამ სანდრო აქ ხდება ავათ იმ საშინელი სენით, რომელმაც შემდეგ სამუდამოთ გამოსტაცა იგი რევოლიუციონურ მებრძოლთა ძველი გვარდიის ოჯახს... ის ჭლექით დაავადებული უბრუნდება ბაქოელ ამხანაგებს, რომლებიც, რადგანაც სანდროს საქართველოში დაბრუნება პოლიტიკური მოსაზრებით შეუძლებელია, რუსეთში აგზავნიან მას სამკურნალოთ.

თებერვლის რევოლიუცია სანდროს უსწრებს მოსკოვში, სადაც ის თავგამოდებით მუშაობდა რევოლიუციონერთა რიგებში. ოქტომბრის რევოლიუციამდე ის ბრუნდება თბილისში, სადაც ისეთივე ენერგიითა და გატაცებით მუშაობს პარტიულ ორგანიზაციებში, როგორც ნავთლუღის ორგანიზაციის მთავარი ხელმძღვანელი.

1921 წელს, გასაბჭოების დღიდან, სანდროში ხდება ერთგვარი გარდატეხა: ის ხედავს, რომ კომუნისტური პარტიის ხელისუფლების დროს მის ენერგიას არ ექნება ძველებური გასაქანი. ამიტომ ის ირჩევს სადმე დიდ ქარხანაში ან ფაბრიკაში მოკალათებას და იქ პოლიტიკურად მომზადებულ მუშებში აწარმოვოს ბრძოლა. მას ძალიან დიდი სურვილი აქვს როგორმე მოეწყოს რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში, მაგრამ როგორ? იქ ხომ სანდროს სპეციალური ცოდნა - მევენახეობა — არ გამოდგება?... მაგრამ სანდროს ენერგიას რა გასტეხს?... და ის, ოცდა თხუთმეტი წლის სანდრო, შეგირდად შედის მთავარი სახელოსნოების სამჭედლო საამქროში.

ორი-სამი წლის შეგირდობის შემდეგ სანდრო მჭედელია... და აქ, კავკასიის რევოლიუციის უდიდეს ძუდოში, მთავარ სახელოსნოებში, სანდრო ძველის ენერგიით ეწევა ანტი საბჭოთა მუშაობას. მაგრამ მას მალე იჭერენ და აყენენ ციხეში, სადაც ის რჩება ცხრა თვის განმავლობაში.

და აი, აქ, ციხეში ხდება სანდროში ის პოლიტიკური გარდატეხა, რომელიც მასზე ცოტა ადრე განიცადა ეგრედწოდებულმა ფარნიევის ჯგუფმა და აგვისტოს ავანტიურის შემდეგ, განიცადა ძამანაშვილისა, მაჭარაძის, ხურცილავასა, კუპრაშვილისა, მიქელაძის და თვით სანდრო გვიმბრაძის ჯგუფმა.

ვის ვებრძვი? ვის წინააღმდეგ ვლესავ ხმალს? ვინ არიან კომუნისტები?

აი, ამ კითხვების ირგვლივ ტრიალებდა სანდროს მკვირცხლი გონება მთელი ცხრა თვის განმავლობაში. ამ კითხვებს უტრიალებდა დღე და ღამე ოთხკედელს შუა გამომწყვდეული სანდრო.

კითხვის ასე დაყენება კეთილშობილი და გულწრფელ მებრძოლისათვის უკვე ნიშნავდა წარსულის გადათვალიერებას და კომუნისტურ პარტიასთან შერიგებას.

და ასეთი ხანგრძლივი ფიქრისა და გონებრივი მუშაობის ნაყოფი იყო იგი, რომ სანდრომ „უღალატა“ თავის პარტიას და სრულიად შეგნებულად, უშუალოთ, ვისიმე და რისიმე ძალდაუტანებლად გადაწყვიტა კომუნისტურ პარტიასთან აშკარად მისვლა, მის რიგებში მთელი თავისი ენერგიითა და რევოლიუციონური ცეცხლით მუშაობა.

მაგრამ თავისი ასეთი გადაწყვეტილება ციხეში სანდროს არავისთვის არ გაუმხელია. არვინ იცოდა თუ მასში რა ხდებოდა... მხოლოდ ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ის ამხანაგებს უზიარებდა თავის მწარე ფიქრების ნაყოფს და ამხანაგებს ურჩევდა გადაეთვალიერებიათ ს. ს.-დ. პარტიის მოღვაწეობა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. სანდრო მთელის თავისი ძალ-ღონით წინააღმდეგი იყო აგვისტოს ავანტიურისა. მაგრამ უკვე გვიან იყო... და რომ თვითონაც არალეგალურ მდგომარეობაზე არ გადასულიყო. იქნება ამ ავანტიურას თვითონაც გადაყოლოდა.

თავისთავად ცხადია, რომ **სანდრო გვიმბრაძე** ერთ-ერთი ინიციატორთაგანი იყო „მუშათა კომისიისა“, რომელმაც თავს იდო ქართველი ხალხის იმ დიდი ჭრილობის მოშუშება, რომელიც მათ მიაყენა ჟორდანია-რამიშვილის ავანტიურისტულმა პოლიტიკამ. ამ კომისიაში ის მუშაობდა მთელი მისი ენერგიით სიკვდილის დღემდე.

სანდრო გარდაიცვალა 42 წლისა, ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე. თუმცა ღარიბ-ღატაკთა საშინელ სენს—ჭლექს,—ღრმა დაღი დაესვა მისთვის, მაგრამ მუდამ რევოლიუციონური ცეცხლით აღგზნებული სანდრო მტერს არ ემორჩილებოდა და ძველებურის ენერგიით განაგრძობდა მუშაობას. ის უდიდესი მორალური ძალა იყო, როგორც მუშათა კომისიაში, ისე „ახალი გზის“ რედაქციაში, რომელსაც ის თავისი მაგალითით ამხნევებდა და ბრძოლის ცეცხლს უღვივებდა.

და დღეს თვალ-ცრემლიანი ახვევიან გარს **სანდრო გვიმბრაძის** კუბოს მისი ამხანაგები, რომლებიც კანიბალურ ფიცსა სდებენ მისი საფლავის წინაშე, რომ მეტის ენერგიით ემსახურებიან იმ დიად საქმეს, რომელსაც სამაგალითო მებრძოლმა **სანდრო გვიმბრაძემ** შესწირა თავისი სიცოცხლის ყველა წუთები.

დასასრულ, სანდროს ყოფილ ამხანაგებს უნდა მოვახსენოთ ერთი სულ უბრალო წვრილმანი, რაც მათთვის ბევრის მთქმელია.

**სანდრო გვიმბრაძის** კუბო ძველ ნაძალადევში, პარკოფელის ქუჩაზე, № 18 სახლში,, ერთ პატარა ოთახში ასვენია და იმავე ოთახში ცხოვრობდა და ცხოვრობს სანდროს შვიდ სულიანი ოჯახი.

**კომუნისტი სანდრო გვიმბრაძე** ცხოვრობდა ისეთსავე სიღარიბეში, როგორშიც ცხოვრობდა **მენშევიკი სანდრო გვიმბრაძე**, ს. ს.-დ. პარტიის ბატონობის დროს.

სირცხვილი სანდრო გვიმბრაძის იმ ყოფილ ამხანაგებს, რომლებიც მენშევიკურ პარტიაში მომხდარ დიდ პოლიტიკურ გადატეხას „სყიდვა-გასყიდვითა“ და „მსუქანი ლუკმის“ მიღების სურვილით ხსნიან.

# 7 საათის სამუშაო დღისათვის

## II.

პირველი შეხედვით ძნელი შესათვისებელია ის აზრი, რომ სამუშაო დღის ერთი საათით შემცირება არ დასწევს საერთო გამომუშავების რაოდენობას, რომ მუშა 7 საათში იმდენსავე გააკეთებს, რამდენსაც აკეთებდა 8 საათის განმავლობაში. საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ ეს რეფორმა ჩვენს კავშირში იმ დროს ტარდება, როცა კავშირის გარემოცვაში მრეწველობა ყოველ ღონეს ხმარობს სამუშაო დღის გახანგრძლივებისათვის და ბევრ ადგილას აღწევს კიდეც მიზანს.

ყველა ეს კითხვები ბუნებრივად წამოიჭრება მკითხველის და ყველა მშრომელის წინაშე, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი მეურნეობის განმტკიცებით. მით უმეტეს, როცა ვიცით, რომ ტეხნიკურად და შრომის ნაყოფიერების მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამორჩენილი ვართ.

ყველა ამ ეჭვების გასაქარწყლებლად უნდა გავიხსენოთ საკითხის როგორც თეორიული გაშუქება, ისე ფაქტიური მდგომარეობა. ამ კითხვებზე პასუხს იძლევიან სოციალიზმის უმაღლესი ავტორიტეტები. მარქსის აზრით „სამუშაო დღის შემოკლებით დადებითი შედეგი ეყრდნობა იმ თავისთავად აშკარა კანონს, რომელიც გვეუბნება, რომ შრომის შემოქმედება იმდენათ მეტია, რამდენათაც ნაკლებია მისი ხანგრძლივობა“. ამავე საკითხზე ლენინი ამბობს: „გრძელი სამუშაო დღის ერთეულ საათში მუშა ქმნის უფრო ნაკლებს და ბევრად უფრო უარესს პროდუქტს, ვიდრე მოკლე სამუშაო დღის იმავე ერთ საათში“.

ეს დებულებანი სავსებით გაამართლა ცხოვრებამ. შრომის ნაყოფიერების სამოცდა ათი წლის ისტორია და 8 საათის სამუშაო დღისათვის გატარებული ბრძოლა წარმოადგენენ ამის საუკეთესო ილიუსტრაციას.

8 საათის სამუშაო დღის შემოღება თავის დროზე ბევრად უფრო საგრძნობ ცვლილებას წარმოადგენდა, ვიდრე დღეს რვის ნაცვლად შვიდი საათი წარმოადგენს. 8 საათისათვის ბრძოლა მაშინ დაიწყეს (პირველი ინტერნაციონალი), როცა ცხოვრებაში მტკიცეთ იყო გაბატონებული 12 და 14 საათის სამუშაო დღე. სამუშაო დღის შემოკლების წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის დამყარებული იყო იმ ცრუ-მორწმუნეობაზე, რომელიც გულისხმობდა, რომ ეს შემოკლება ხდება ყველა სხვა პირობების შეუცვლელად. სინამდვილეში კი მართლდებოდა კ. მარქსის დებულება, რომლის დასკვნით, „სინამდვილეში ყოველთვის ამის წინააღმდეგ მდგომარეობას აქვს ადგილი: შრომის ნაყოფიერების და ინტენსივობის შეცვლა ან წინ უძღვის ან და უშუალოდ თან დაყვება სამუშაო დღის შემოკლებას“. ეს დებულება მართლდებოდა და მართლდება ყველგან და გამართლდა იგი საბჭოთა კავშირშიაც.

რევოლიუციის შემდეგ განმტკიცებული რვა საათის სამუშაო დღის ნაყოფიერებამ გადააჭარბა და გაასწრო ომის წინა დროის ათი საათის სამუშაო დღისას, როგორც ამას მოწმობს ჩვენი მრეწველობის შესწავლა.

აქვე მოსახსენებელია ის გარემოებაც, რომ ამ დროა ფაქტიურად რვა საათის სამუშაო დღეც უკვე წარსულს ეკუთვნოდა.

სამუშაო დღის ფაქტიური სიგრძე მთელი კავშირის მრეწველობაში უდრიდა 1923 წელს—7,8 საათს, 1924 წ.—7,8 საათს, 1925 წ.—7,6 საათს, 1926 წ.—7,5 საათს, 1927 წლის პირველნახევარში კი 7,4 საათს. (იხ. ეკ. ჟიზნ. № 276—1927 წლის).

ამავე დროს საქართველოს მსხვილ მრეწველობაში 1926—27 სამეურნეო წლის პირველ ნახევრის ბოლოს სამუშაო დღე უდრიდა:

| მრეწველობის დარგები | ნორმალური სამუშაო დღე | ფაქტიური სამუშაო დღე |
|---|---|---|
| თამბაქოს მრეწველობა | 6,8 ს. | 6,5 ს. |
| ტყავის მრეწველობა | 7,7 „ | 7,2 „ |
| ფეხსაცმელების ქარხანაში | 7,7 „ | 7,1 „ |
| ქვანახშირის მრეწველობაში | 7,25 „ | 7,20 „ |
| ფერადი ლითონის წარმოება | 7,7 „ | 7,9 „ |
| საპნის წარმოება | 7,7 „ | 7,6 „ |

ვ. ზაიცევს, რომელიც შეუდგა ჩვენთვის საინტერესო საკითხის გამორკვევას, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ცაკის მანიფესტი არ იყო გამოცემული, და რომელიც ამტკიცებდა 6 საათის სამუშაო დღის შემოღების შესაძლებლობას, თავმოყრილი აქვს თავის წერილში ბევრათ საინტერესო ცნობა, შემცირ. სამუშაო დღის ნაყოფიერების შესახებ. სხვათა შორის აქ გვაქვს ასეთი მასალები. იქ სადაც საშუალო დღე უდრის 6,9 საათს, მუშის ერთი საათის ნამუშევარი შეადგენს 2,5 ერთეულს და მთელი დღისა — 17,25 ერთეულს, ხოლო იქ, სადაც სამუშაო დღე უდრის 8,3 საათს, ერთი საათის ნამუშევარი შეადგენს 1,37 ერთეულს, ხოლო მთელი დღისა 16,35 ერთეულს. 10,6 საათიანი დღე კი იძლევა იმავე ციფრების ასეთს მწკრივს: 1 საათის ნაწარმი შეადგენს—1,83 ერთეულს, ხოლო მთელი დღისა — 14,40 ერთეულს. უკანასკნელი, ე. ი. უფრო გრძელი სამუშაო დღე იძლევა მეტს ნაყოფს, მაგრამ ეს მეტი ნაყოფიერება მეტად ძვირად უზის მომუშავეს. 10,6 საათიანი სამუშაო დღის ნაყოფიერება სჭარბობს 7 საათისას მხოლოდ 11 პროც., (ე. ი. თითქმის ერთი მეათედით), სამუშაო დღის ხანგრძლივობა კი სჭარბობს პირველს 35 პროც., (ე. ი. ერთ მესამედზე მეტით).

ჩვენს პირობებში ასეთი გრძელი დღის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენ გვაქვს მხოლოდ რვა საათის სამუშაო დღე და ნაკლები. ამიტომ ყველა ჩვენი მოსაზრებები ამ მდგომარეობას უნდა შეუთანხმოთ.

საბჭოთა კავშირში მთელი რიგი წარმოებათა, ე. წ. მავნე პირობებიანი, უკვე გადასულია 7 საათის სამუშაო დღეზე. 1927 წლის განმავლობაში შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადასული იყო ცენზიანი მრეწველობის მუშათა საერთო რიცხვის მეათედი — 2 მილიონიდან თითქმის 200 ათასი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოთ შემოკლებული სამუშაო დღე უფრო მეტს ეფექტს იძლევა მძიმე სამუშაოებზე. ჩვენ გვაქვს მაგალითად ასეთი ცნობა: დნეპროპეტროვსკში სამეტალურგიო ქარხნის ერთ ცეხში, მძიმე სამუშაო პირობების გამო, შემოიღეს ექვსი საათის სამუშაო დღე. ხელფასი არ შეუმცირებიათ. პირველ დღეებშივე გამოირკვა, რომ შრომის ნაყოფიერებამ მოიმატა“. (იხ. ტ. პრ. გაზ. № 262). არის სხვაგანაც 6 და 6,5 საათის სამუშაო დღე, და როგორც მრეწველობის ხელმძღვანელთა თათბირზე ირკვევა, თითქმის არავის არ აშინებს, ამ რეფორმის გატარება. თხოულობენ მხოლოდ სათანადო მომზადებას და მუშების მხრივ შეგნებულად საქმისადმი მიდგომას. (იხ. მაგალითად ლენინგრადის სარეწაოთა ხელმძღვანელების თათბირის ანგარიში (ტ. პრომ. გაზ. № 289). ამ ცნობებიდან ჩვენ დავინახეთ, რომ ფაქტიურად რვა საათის სამუშაო დღე უკვე არ არსებობს საბჭოთა კავშირში, მისი ხანგრძლივობა ყველგან უფრო ნაკლებია და მაშასადამე 7 საათის სამუშაო დღის შემოღება არც ისეთს დიდს ცვლილებას მოახდენს, როგორც ეს პირველი შეხედვით გვეჩვენებოდა.

ამრიგად, როგორც თეორია და ისტორია, ისე პრაქტიკაც გვიმოწმებს, რომ ამ რეფორმის გატარება არ გამოიწვევს ისეთს გარდატეხას, რომლის ატანასაც ვერ შეძლებს ჩვენი მეურნეობა.

მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენ ველით ამ რეფორმისაგან დადებითს შედეგებს და უნდა გავარკვიოთ რა პირობებში და რაის მოცემა შეუძლია მას ამ მხრივ.

პირველ ყოვლისა, აქ უნდა გავიხსენოთ ჩვენი მეურნეობის მთავარი საზრუნავი საკითხი—არსებული დისპროპორცია (შეუთანხმებლობა) მრეწველობის პროდუქციის რაოდენობისა და არსებული მოთხოვნილებისა. დღეს უდავოთ ცნობილია, რომ ჩვენი მრეწველობის მიერ გამომუშავებული საქონლის რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამის გამო, მორიგ ამოცანათ არის ცნობილი სამრეწველო საქონლის რაოდენობის გადიდების, გამრავლების აუცილებლობა. ამ საქმეში ყველაზე მეტს დაბრკოლებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვენი მეურნეობა ვერ ახერხებს სათანადო ტემპით გაადიდოს და გააფართოვოს მისი მთავარი ბაზა, მრეწველობის ძირითადი კაპიტალი, რაც შესაძლებელია ახალი ფაბრიკა - ქარხნების აგებით და არსებულთა მოწყობილების გაფართოებით. ამისათვის საჭიროა აღმშენებლობაში დიდი კაპიტალის ჩადება და დიდი დრო. პირველის გაღება, როგორც მოგეხსენებათ არ არის ადვილი, ხოლო მეორეს ვერ უცდის და ვერ ითმენს მოთხოვნილების სიმწვავე. ამიტომ ისმებოდა საკითხი, რომ რაც შეიძლება უფრო ინტენსიურად გამოეყენებია ჩვენს მრეწველობას ის, რაც გვაქვს. დგებოდა საკითხი სარეწაოთა მრავალცვლათ ამუშავების შესახებ, მაგრამ საქმის მოგვარებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ამ სარეწაოთა შეუწყვეტელი მუშაობის შემოღება არ უთანხმდებოდა 8 საათის სამუშაო დღეს. 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ კი ადვილად ეწყობა მესამე ცვლის გატარება. ეს კი იძლევა საშუალებას სავსებით იქნეს გამოყენებული ძირითადი კაპიტალი, რომელიც უმოქმედოთ დგას მუშაობის შეწყვეტის დროს. ლ. საბროვიჩი აკეთებს ვარაუდს (იხ. ტ. პრ. გაზ. № 239), იმის შესახებ, თუ რას მოგვცემს მესამე ცვლის შემოღება ხუთი წლის განმავლობაში მარტო საფეიქრო მრეწველობის ბამბეულობის დარგში და დაასკვნის, რომ 1931—32 წლის პროდუქცია გაასწრებს 1926—27 წლისას 85 პროც., თუ სამ ცვლად იმუშავებს ეს დარგი, ორ ცვლად მუშაობის დროს კი მატება შეადგენს მხოლოდ 32—33 პროც.

დანარჩენზე შემდეგ.

**ნ. ელიავა.**

# მენშევიზმის ერთ-ერთი სახეობა

## II

ს.-რ. პროგრამის პილიტიკური ნაწილის ბედ-იღბალი გადაწყვეტილი იყო საბოლოვოდ ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებამდე, როცა დღიდან დღეზე აშკარა ხდებოდა პროლეტარიატის როლი რევოლიუციაში, როგორც ამ უკანასკნელის ხელმძღვანელის და გეგემონისა. „მხოლოდ პოლეტარიატს, —მსხვილ წარმოებაში მისი ეკონომიური როლის გამო,—შეუძლია იყოს ყველა მშრომელ და დაჩაგრულ მასის ხელმძღვანელათ იმ მასისა, რომლის ექსპლოატაციას ბურჟუაზია ეწევა და რომელსაც სჩაგრავს ხშირად და არა ნაკლებ, არამედ უფრო სასტიკად, ვიდრე პროლეტარიატს, მაგრამ რომელსაც იმავე დროს არ ეხერხება თავისი განთავისუფლება დამოუკიდებელი ბრძოლით, საკუთარი ძალ-ღონით“.

ასე ჩამოაყალიბა ხელმძღვანელობითი მნიშვნელობა პროლეტარიატისა რევოლიუციაში ამხ. ლენინმა თავის „სახელმწიფო და რევოლიუცია“-ში. ეს დებულება წარმოადგენს მთავარ საფუძველს რევოლიუციონურ მარქსისტული ტაქტიკისას: პროლეტარიატი, ატარებს რა თავის საკუთარ კლასობრივ ხაზს, იმავე დროს გამოხატავს ყველა მშრომელთა ინტერესებს,— მაშასადამე იგი უნდა ეყრდნობოდეს სოფლის ნახევრად პროლეტარულ და პრო-

ლეტარულ ელემენტებს და იყოს კავშირში საშუალო, მშრომელ გლეხობასთანაც.

ს.-რ.-თა წრეებში ძალიან გავრცელებული იყო, ის შეხედულება, რომ ბოლშევიკები, ისე, როგორც მენშევიკებიც, ვითომ მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით ეხებიან გლეხთა საკითხს და მხოლოდ ამ მოსაზრებით შეაქვთ თავიანთ პროგრამაში სათანადო მოთხოვნილებები (ნაციონალიზაცია, მუნიციპალიზაცია).

რომ ეს მტკიცება ყიყალბეს წარმოადგენდა და წარმოადგენს, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ჯერ კიდევ 1905 წლის იანვარში,— ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე ბოლშევიკების აგრარული პროგრამა ჩამოყალიბდებოდა,— ამხ. ლენინი თავის 9 იანვრის ტრაღედიის გამო დაწერილ სტატიაში, სათაურით „რევოლიუციის დასაწყისი რუსეთში“, სწერდა შემდეგს:— „დეე თვითეულ სოციალ-დემოკრატს, თვითეულ შეგნებულ მუშას ახსოვდეს, თუ რა უდიდესი ამოცანები ხალხის საყოველთაო ბრძოლისა აწევება მას. ნუ დაავიწყდება, რომ იგი გამოხატავს და იცავს მოთხოვნილებებს და ინტერესებს მთელი გლეხობისაც, მშრომელთა და გაყვლეფილთა მთელი მასისას, მთელი ხალხისას, წინაამდეგ ხალხის საერთო მტრისა“.

ხელმძღვანელობითი როლი პროლეტარიატისა მშრომელთა მასის შეკავშირების პროცესში აშკარაა. ამის საილიუსტრაციოთ ჩვენ შემდეგი ორი მაგალითით დავკმაყოფილდებით: პირველი. რუსეთში „ტრუდოვიკი“, რომელთა რიგებში შეიძლება ერთ მუშასაც ვერ მონახავდით, სიცოცხლის ნიშანს იჩენდენ მხოლოდ საარჩევნო კამპანიების დროს და პარტიას, ამ სიტყვის სწორი გაგებით, არ წარმოადგენდენ— იყვენ ერთგვარ თანამგრძნობთა უპარტიო რეზერვათ ს.-რ. პარტიისა. თვითმპყრობელობის დაცემის შემდეგ კი სრულიად დაუთმეს ადგილი ს. რ. პარტიას, რომლის რიგებში ითვლებოდა საკმარისად მრავალრიცხოვანი კადრი პროლეტარებისა, რომელსაც მეფის რეაქციის უბნელეს დროშიც არ მოუსპია თავისი არალეგალური ორგანიზაცია და რომელსაც ჰქონდა გლეხობაში რევოლიუციონური აქტივობის სახელი.

განსაკუთრებულ აქტივობას გლეხობა საქართველოში იჩენდა სწორედ იმიტომ, რომ თავის არსებობის დასაცავად იგი მისდევდა მუშათა პარტიას, როგორც ასეთს და არა მენშევიკებს ან ბოლშევიკებს, როგორც ფრაქციებს. მუშები იყვენ გლეხებში პოლიტიკური შეგნებისა გლეხობაში და მასების საორგანიზაციო ფერმენტს წარმოადგენდენ... ჩვენში მენშევიკები გლეხობაში იგივე როლს თამაშობდენ, როგორც რუსეთში—ს.-რ-ები:

როგორც საბჭოთა რუსეთში 1917—1918 წ. წ. განმავლობაში, ისე მენშევიკურ საქართველოში 1917—1921 წლებში, გლეხობის მშრომელთა მასის ფართე ფენებში თანდათანობით იზრდებოდა შეგნება იმისა, რომ შემთანხმებელთა პარტიებს არ ძალუძთ იყვენ გამომხატველად მათი ინტერესებისა. ბურჟუაზიულ -დემოკრატიულ რევოლიუციის ამოცანები გადაჰჭრა პროლეტარულმა რევოლიუციამ, რაც შეეხება ამოცანებს, ს.-რ. ფორმულით, „ნაროდნო-ტრუდოვოი“ —„სახალხო-შრომის“ —რევოლიუციისა, ამ ამოცანებზე მსჯელობა, როგორც ერთ მთელზე, შეუძლებელია, იმდენად ხელოვნური, გამოგონილი იყო ეს რევოლიუციის დამახასიათებელი ფორმულა. მსჯელობა შესაძლოა მხოლოდ ს.-რ. პროგრამის ცალკე ნაწილებზე. არასდ და არას დროს შრომის საკითხები არ იჭრებოდა დემოკრატიული გზით და თვით სინამდვილემ თებერვლის რევოლიუციის შემდგომ დაანახვა ს.-რ.-ებს ამ ფორმულის სრული უსუსურობა. ს. რ., როგორც მენშევიკები, ატარებდენ იმავე ხაზს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლიუციისაა და ამ საქმეშიაც, როგორც მენშევიკები, იგივე უძლურება გამოიჩინეს.

ბურჟუაზიულ- დემოკრატიულ რევოლიუციის ამოცანები გადაჭრილი იყო, ამხ. ლენინის თქმით, „გზა-დაგზა, გაკვრით, როგორც დამატებითი ნაყოფი ჩვენი მთავარი და ნამდვილი პროლეტარულ -რევოლიუციონურ-სოციალისტური მუშაობისა“ („ოქტომბრის რევოლიუციის ოთხი წლის თავისთვის“).

პროლეტარიატის დიქტატურის ბუნებრივ, რევოლიუციის პროცესში შემდგარ ფორმათ შეიქნენ საბჭოები და საბჭოთა სახელმწიფო, რომლის ფესვებს ჩვენ ვპოულობთ უკვე პირველ—1905 წ. რევოლიუციის ხანაში. არსებობს თუ არა დემოკრატია საბჭოთა ქვეყანაში? პროლეტარიატისთვის და მშრომელთათვის არსებობს; ჩვენთვის ეს საკმარისია. არც კი შეიძლება სერიოზული ნაყოფიერი მსჯელობა იმ საგანზე, თუ რამდენად შეეფერება მშრომელთა ინტერესებს საბჭოთა პროლეტარული დემოკრატია, რომლის პიობებში მშრომელ მასათა შემოქმედი მონაწილეობა სახელმწიფოებრივ საქმეთა მმართვაში არის დაფუძნებული ამ მასათა სოციალურ განთავისუფლებაზე, წარმოების მთავარ საშუალებებზე და მიწაზე —ამ საძირკველის ბურჟუაზიულ სახელმწიფოსი —კერძო საკუთრების მოსპობაზე.

როგორც ვიცით ს.-რ. პროგრამა აწყვეტდა ერთ-ერთ მთავარ საკითხს, წამოყენებულს ევოლიუციის მიერ მრავალ ერებათ დასახლებულ რუსეთში, —ეროვნულ საკითხს,— შემდეგნაირად: გარდა თვითგამორკვევის უფლებისა ერისთვის პროგრამა იცავდა ერთა შორის ფედერატიულ კავშირის დამყარებას.

როგორც აგრარულ ურთიერთობათა საკითხში, ისე ეროვნულ საკითხშიც ს.-რ. „სიტყვის და საქმის“ შორის დიდი მანძილი იყო.

ჯერ კიდევ თებერვლის რევოლიუციამდე, და უმეტესად კი მის შემდგომ, ამ საკითხში გამოიხატებოდა ს.-რ. პარტიის რუსული, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ველიკო-რუსული წვრილ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ბუნება. არც ერთ სოციალ-რევოლიუციონურ ეროვნულ პარტიასთან (ს.-ფ., დაშნაკ., უკრაინელი და ლატვიელი ს.-რ.) ს.-რ. პარტიამ ვერ შესძლო შეექმნა რამდენიმეთ ნორმალური პირდაპირი დამოკიდებულება; ყველა „განაპირა ადგილებზე“ ს.-რ. ორგანიზაციები არსებობდენ ამ ეროვნულ პარტიებთან პარალელურად და, თუმცა ასუსტებდენ მათ, სთიშავდენ მათ რიგებს და მათ შორის სთესავდენ ერთმანეთისადმი, ისედაც წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებისათვის დამახასიათებელ შეურიგებლობას და უნდობლობას, მაინც ამით თვითონაც ვერ აძლიერებდენ საკუთარ პარტიას; პირიქით ს.-რ. პარტიიდან გადიოდენ ორგანიზაციები— მაგალითად, გავიდა ჯგუფი, რომელმაც დაარსა ნაცონალისტური ეროვნული პარტია— ებრაელებს შორის —„სერპ“ („სოციალისტიჩესკაია ევრეისკაია რაბოჩაია პარტია“): არც ერთ განაპირა ადგილას ყოფილ რუსეთის იმპერიის ს.-რ. პარტიას არ ჰქონდა მშრომელ მოსახლეობაში გამდგარი მკვიდრი ფესვები. შეეძლო კი რუსულ წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიას ყოფილიყო იმ პარტიათ, რომელის ხელის შეწყობაზე რუსეთის „ხალხთა საპყრობილეში“ დამწყვდეულ ერებს ჰქონოდათ დაკავშირებული თავისი განთავისუფლების იმედები?

თებერვლის რევოლიუციის სათანადო ფაქტებმა აშკარად დაამტკიცა, რომ ინტერნაციონალიზმი ს.-რ. პარტიის ფიქცია იყო. საკმარისია მოვიგონოთ პოზიცია დაკავებული ს.-რ. მენშევიკთა მიერ, კერენსკის მეთაურობით, უკრაინის და ფინლიანდიის საკითხში, ბიუროკრატიული მმართველობის წესები ამიერ-კავკასიაში „ოზოკომ“-ის შექმნით და სხვა.

ეროვნულ პოლიტიკაში ს.-რ. გამოხატავდენ ინტერესებს შეძლებულ გლეხობისა მისთვის დამახასიათებელ თვისებებით —დიდმპყრობელ ნაციონალიზმით და ანტისემიტიზმით.

დიდათ საგულისხმოა, რომ რუსეთის ს.-რ. და ქართველი მენშევიკები, ამჟამადაც, თავისი ურთიერთობით, ბრწყინვალედ ააშკარავებენ სხვადასხვა ერთა შორის წარმოებულ წვრილ-ბურჟუაზიული ეროვნულ პოლიტიკის შეურიგებლობას. თუ ერთნი წარმოადგენენ დიდმპყრობელ რუსეთის პოლიტიკის გამტარებლებს, მეორენი იყვნენ იმპერიალისტ. ევროპის „ფანატიკოსები“. ვ. ჩერნოვმა რომელმაც წაიკითხა ქ. პრაღაში მოხსენება რუსული საკითხის შესახებ, შემდეგ, ვითომდაც მარქსისტული, ფე-

რო კი პ. სტრუვეს სულით გაჟღენთილ დებულებებს, ანვითარებდა. *) „თანამედროვე ეკონომიკის კაპიტალისტური განვითარების ტენდენცია ფოლადის ჯაჭვებით აკავშირებს თანამედროვე ერებს და სახელმწიფოებს. ეკონომიური ცენტრალიზაცია იწვევს პოლიტიკურ შეჯგუფებასაც. პატარა ერები ეკონომიკის და სულიერი კულტურის სფეროში თავისუფალ შეჯიბრების ნიადაგზე საბოლოო ანგარიშით ითქვიფებიან მძლავრ და დიდ ერებში, და ამ ობიექტიურ მსვლელობას სოციალისტებმა ხელი არ უნდა შეუშალონ. სომხეთმა და საქართველომ ერთმანეთს ხელით დაერიენ. აზერბეიჯანიც ამ კონფლიქტში ჩაერია და დაიწყეს ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტა, და სანამ ინგლისელები არ ჩაერია ამ საქმეში, სისხლისღვრა არ შეჩერებულაო...

აქედან ჩერნოვმა დაასკვნა: ამიერ-კავკასიაში უნდა არსებობდეს მესამე ელემენტი, რომელიც შესძლებს ადგილობრივ მკვიდრთა მორიგებას და დაზმშვიდებას, და, რაკი ეს მესამე ძალა საჭიროა, ეს ძალა რუსეთი უნდა იყოს, რადგანაც მან ეს უფლება ისტორიულად მოიპოვაო“.

ამ რეფერატის დროს მსჯელობაში მონაწილეობა მიიღო ს. რ.-მა. ლაზარევმა, რომელმაც დააბოლოვა ეს სტრუვესებური ნაციონალური პოლიტიკა აშკარა სტოლიპინისებური მუსიკით: „დადგება დრო და საქართველო, აზერბეიჯანი და სხვა დამოუკიდებლობის მოტრფიალე ერები დაჩოქილი ითხოვენ რუსეთის სულგრძელობასო“.

ჩვენს წინაშე იშლება ბრწყინვალე თვითდახასიათება, თანამედროვე გადაგვარებულ ხალხოსნობისა, რომლებიც ბობოლა—გლეხობის პარტიათ გადაიქცა და რომელიც ისე შორს არის ძველ, იდეალიზმის სულით სავსე, ხალხოსნობისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან.

მთელი ეს პოლიტიკა ს. რ-თა პარტიისა, მენშევიკებთან, ისე როგორც ქართველ მენშევიკებისა, და რუსეთის მენშევიკებთა შორის წარმოებული პოლიტიკა, გამოხატავს სრულ უძლურებას ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ პარტიებისა გადასჭრან ეროვნული საკითხი ერთა თანასწორობის და მათი ძმური კავშირის ნიადაგზე.

კაპიტალისტურ ურთიერთობისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, სხვადასხვა ქვეყნების ბურჟუაზიის ინტერესთა შეურიგებლობა არა ნაკლები სიძლიერით იჩენს თავს წვრილ ბურჟუაზიის და მის პარტიათა შორის, რომელთაც მიიზიდავს თავისკენ მპერიალისტური პოლიტიკა დიდ სახელმწიფოებსა და რომელნიც ბოლოს და ბოლოს ასრულებენ ამ უკანასკნელთა ნებას და ფარავენ ამას სოციალ-პატრიოტული ფრაზებით. ს. რ. მენშევიკებს, რუს და ქართველს, ისე როგორც ანტისაბჭოთა ემიგრაციის სხვა ჯგუფებს, არ შეუძლია აწარმოონ დამოუკიდებელი პოლიტიკა ეროვნულ საკითხში.

საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასსებში ყოველგვარ ნდობას მოკლებულნი, ისინი წარმოადგენენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებისათვის გამოსადეგ იარაღს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად ყოველ მორიგ შემოტევის დროს.

ერთა შორის ნორმალურ ურთიერთობათა დამყარების საქმეში საკუთარ გამოცდილებით იცნობენ საბჭოთა კავშირს, ამიერ - კავკასიის სამივე რესპუბლიკათა მშრომელების ფართო მასები. იცნობს ამ როლს თვით ვ. ჩერნოვი. სამოქალაქო ომის არც თუ ისე შორეულ დროის გაკვეთილებიდან და 26 კომუნარის დაღუპვის ტრაღედიიდან.

ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც ყოფ. რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე შექმნა თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა უდიდესი კავშირი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირი — გადაჭრა ეროვნული საკითხი ისე, როგორც ამას მოითხოვდა პროლეტარიატის და ყველა მშრომელთა ინტერესი — ყველა ერთა თანასწორობის და მათი სოლიდარობის ნიადაგზე.

კერძოთ ამიერ-კავკასიაში და საქართველოში ერთა შორის დამყარებული მშვიდობიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა, რომელიც შეადგენდა მათთვის, მენშევიკ—დაშნაკ—მუსავატელთ ბატონობის დროს, მიუწვდომელ ოცნებას, შექმნა ერთ-ერთ აუცილებელ პირობა სოციალისტურ სამეურნეო აღმშენებლობის სწრაფი განვითარბისათვის, რაც თავის მხრივ ამიერ - კავკასიის ერებს უხსნის კიდევ უფრო ფართე გზას ეროვნულკულტურულ განვითარებას. პროლეტარულ და ყველა მშრომელთა საზოგადოებრიობის საფუძველზე.

მხოლოდ ყოფ. რუსეთის იმპერიისა და კერძოთ ამიერ-კავკასიის, ყველა ერთა პროლეტარიატთან და მშრომელებთან კავშირის დამყარებით, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებელი არსებობის პირობები, დამოუკიდებელი — ამ სიტყვის არა ინდივიდუალისტურ-ბურჟუაზიული გაგებით, არამედ, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული, ამიერ - კავკასიის ფედერაციის საშუალებით, შემავალი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში.

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა დიდი ხანია გაითვალისწინეს და იგრძნეს, რომ მენშევიკთა ეროვნული პოლიტიკის შედეგი იყო საქართველოს სრული განმარტოება და უძლურება, ამჟამად კი საბჭოთა კავშირის მთელ მშრომელ მასასთან ერთად მათ შეუძლიათ სთქვან პროლეტარიატის დიდ ბელადის სიტყვებით:

„ჩვენ ვართ დამცველნი სოციალისტური სამშობლოსიო“. სდგას რა ამ უკანასკნელის სადარაჯოზე, საქართველოს პროლეტარიატი, ყველა მშრომელებთან ერთად, იცავს და წინ სწევს მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის საქმეს.

კ. ჯავრიშვილი.

*) ამ მოხსენების მოკლე შინაარსი მოყვანილია ამხ. ა. ხელაძის წერილში „დამოუკიდებელი საქართველო და რუსი ემიგრანტები“. „ახ. გზა“, № 38.

# კლასთა ბრძოლა გერმანიაში და სოც.-დემ. როლი

გერმანიის მენშევიკური პარტიის ლიდერები თავის დროზე დიდ იმედებს ამყარებდენ დაუესის გეგმის განხორციელებაზე სარეპარაციო ვალების მოწესრიგების საქმეში. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია ამ გეგმის განხორციელების შემდეგ საბოლოოდ დააღწევდა თავს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიაც მოექცა მათი ქვეყანა ვერსალის საზავო პირობებით. კიდევ მეტი. სოციალ-დემოკრატები საქვეყნოდ აცხადებდენ, რომ დაუესის გეგმის განხორციელება გამოაკეთებდა მუშათა ეკონომიურ მდგომარეობასაც.

სამაგიეროდ კომუნისტური პარტიისათვის იმ თავიდანვე აშკარა იყო, რომ დაუესის გეგმა ოდნავადაც ვერ გააუმჯობესებდა გერმანიის რესპუბლიკის საერთო მდგომარეობას და მით უმეტეს მუშათა კლასისას. პირიქით, კომუნისტური პარტიის თვალსაზრისით, ამ გეგმის განხორციელების მთელი სიმძიმე მძიმე ტვირთად დააწვება მშრომელთა ფართო ფენებს.

ამ თვალსაზრისის სისწორე სულ მალე იქნა გამოაშკარევებული. როგორც ვიცით, დაუესის გეგმით სარეპარაციო გადასახადების ჯამი, რომელიც უნდა გადაიხადოს გერმანიამ, ყოველწლიურად პროპორციონალურად იზრდება. პირველ წლებში მისი გადახდა კიდევ არ წარმოადგენდა დიდ სიძნელეს, მაგრამ, რაც დრო გადის, თანდათან უფრო მძიმე ხდება მისი განხორციელება გერმანიის მხრით. თვით იმ ქვეყნის ფინანსიურ წრეებსაც კი, რომელმაც ეს გეგმა შეადგინა, შეუძლებლად მიაჩნიათ მისი საბოლოოდ განხორციელება და პრესაში უკვე დაიწყო კამპანია დაუესის გეგმის გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ.

მრეწველობის იმ სტაბილიურ მდგომარეობას, რომელიც გერმანიაში შეიქმნა დაუესის გეგმის გატარების პირველ წლებში, თანდათანობით ნიადაგი ეცლება. უმუშევრობა უკანასკნელ დროს სწრაფი ტემპით იზრდება. ამასთან ერთად, გერმანიის მრეწველობის პროდუქციისათვის, როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზრების მდგომარეობა ვერ არის მაინცა და მაინც ხელსაყრელი.

შინაურ ბაზარზე საქონლის მოხმარების ტემპს ამცირებს უმუშევრობის გაძლიერება და მუშების დაბალი ხელფასი, საგარეო ბაზარზე კი გერმანია იძულებულია ებრძოლოს დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნების კონკურენციას, რომლითაც მთელ რიგ კოლონიებისა და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებზე თავიანთი გავლენის სფეროს მოპოების გამო, უპირატესობა აქვთ მოპოებული. საგარეო ბაზარზე გერმანიამ უნდა გაიტანოს გაცილებით უფრო იაფი და მაღალი ხარისხის ნაწარმოები, რომ კონკურენცია გაუწიოს დანარჩენ ქვეყნებს. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის მრეწველები მოახერხებენ თავიანთ წარმოებებში შემოიღონ გადიდებული სამუშაო დღე და შეამცირონ მუშათა ხელფასი.

გერმანელ მრეწველებს ეს ჭეშმარიტება კარგათ აქვთ გათვალისწინებული და ამიტომ არის, რომ ისინი გააფთრებულ შეტევას აწარმოებენ მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლამ გერმანიაში განსაკუთრებით იჩინა თავი უკანასკნელ ხანებში. გასული წლის ნოემბრიდან გაფიცვების ტალღა მოედო გერმანიის მთელ რიგ მრეწველობას. ამათში ყველაზედ უფრო აღსანიშნავია ლითონის წარმოების მუშების ბრძოლა.

მიმდინარე წლის 31 მარტს ვადა უთავდება 72 კოლექტიურ ხელშეკრულებას, რომელიც ვრცელდება — 2,300,000 მუშაზე. ლითონის წარმოებაში მომუშავე მუშებს საერთო კრებებზე ერთხმად გამოაქვთ დადგენილებები სატარიფო შეთანხმების გადასინჯვის აუცილებლობის შესახებ. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ამ გაფიცვებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ის მუშებიც, რომლებიც დღემდის ემხრობიან ბურჟუაზიულ პარტიებს და გაერთიანებული არიან ევრედწოდებულ კათოლიკურ პროფკავშირებში. კერძოდ შუა გერმანიის ლითონის მრეწველობაში ეკონომიურ ნიადაგზე გაფიცვები უკვე კარგა ხანია დაიწყო.

ამ გარემოებამ ძალზე შეაშფოთა როგორც გერმანიის ბურჟუაზიული პარტიები, ისე სოციალ-დემოკრატიის ლიდერებიც. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა გერმანელი მენშევიკების როლის გამორკვევა გერმანიაში დაწყებულ კლასთა ბრძოლასთან დაკავშირებით.

სოციალ-დემოკრატიის ლიდერები სცდილობენ მუშათა მასებს თავი მოაჩვენონ მათი ინტერესების დამცველებად და გერმანიის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა გააშავონ მუშათა მასების თვალში. ამ მიზნით მათ უკვე ორ ფრონტზე გააჩაღეს მოღვაწეობა. რეიხსტაგში ამ პარტიის წარმომადგენლები გამოდიან მემარცხენე ფრაზეოლოგიით სავსე სიტყვებით, ხოლო მეთილონეთა მიერ დაწყებულ გაფიცვას უცხადებენ სოლიდარობას, აღუთქვამენ მხარის დაჭერასა და დახმარებას.

ამ მხრივ დამახასიათებელია პრუსიის ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრ სოციალ-დემოკრატ ზევერინგის გამოსვლა რეიხსტაგში ბიუჯეტის განხილვის დროს, რომელმაც გააკრიტიკა მთავრობის საქმიანობა სადამოყენო ტარიფის გადიდებისა და შრომის ხელფასზე გადასახადების შეუმცირებლობის გამო.

უფრო საყურადღებოა მენშევიკური პარტიის ლიდერების ზრუნვა გაფიცულ მუშებისადმი, მაგრამ მკითხველს არ ეგონოს, რომ ვითომც მენშევიკური პარტიის ლიდერები საერთოდ ყველა მუშებისათვის ზრუნავდენ გაფიცვის დროს, როგორც ამას სჩადის კომუნისტური პარტია.

გერმანიის კომუნისტურ პარტიამ მოუწოდა ყველა რევოლუციონურ ორგანიზაციებს საერთო ძალღონით გაეწიათ დახმარება გაფიცულ მეთითონეებისათვის, მაგრამ ამ მოწოდებას სოციალ-დემოკრატი ბელადები საბოტაჟით შეხვდენ. ამის ნაცვლად მათ გამოუნახავთ თავისებური საშუალება, რომლითაც დახმარება უნდა აღმოუჩინონ მხოლოდ მენშევიკური პარტიის წევრ გაფიცულ მუშებს და იმათ, რომლებიც მენშევიკების თვალსაზრისს ემხრობიან და მათ პოლიტიკას იწონებენ.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ქ. გალლეს ორგანიზაციის გაზეთში მეთითონეთა გაფიცვის გამო მოთავსებულია შემდეგი მოწოდება:

„მეთითონეთა ბრძოლა უფრო მაღალი ხელფასისათვის, როგორც სჩანს იქნება ხანგრძლივი, ამის გამო სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გალლეში მოამზადა საგანგებო თანხა გაფიცულ სოციალ-დემოკრატ მეთითონეების დასახმარებლად, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას მძიმე პირობებში. ამიტომ გალესა და მისი რაიონის ყველა გაფიცული მეთითონე სოციალ-დემოკრატებმა უნდა აცნობონ თავისი მისამართი პარტიის სეკრეტარიატს პარტბილეთისა და საგაფიცვო კომიტეტის მოწმობის დართვით. თავისი მისამართი უნდა აცნობოს იმ გაფიცულმა მეთითონეებმაც, რომლებიც თუმცა არ ითვლებიან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებად, მაგრამ მხარს უჭერენ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მუშაობას კრებებსა და ფაბრიკებში“.

ზემოხსენებული მოწოდება ფრიად დამახასიათებელ დოკუმენტს წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერების მოღალატეობისათვის. ნაცვლად იმისა, რომ შეეცადონ მთლიანი ფრონტის შექმნით შეებრძოლონ კაპიტალისტების შემოტევას, ასეთი ფანდებით არევ-დარევა შეაქვთ მუშათა მთლიან ოჯახში და მით კაპიტალისტებს უადვილებენ მუშების დამარცხებას.

ეს ფანდი მითაა გამოწვეული, რომ გერმანიის კომუნისტური პარტია თავისი სწორი ტაქტიკით და გადამჭრელი ბრძოლით ბურჟუაზიის წინააღმდეგ, თანდათანობით ადიდებს გავლენას მუშათა ფართო მასებზე. ის მუშები, რომლებიც დღემდის სოციალ-დემოკრატიის გავლენის ქვეშ იყვნენ, ზურგს აქცევენ მენშევიკების ხელმძღვანელობას და ირაზმებიან კომუნისტური დროშის ქვეშ.

ამ მოვლენით დაშინებული მენშევიკი ბელადები ცდილობენ ერთგვარ „ქრთამების“ საშუალებით შეინარჩუნონ გავლენა თავიანთ წევრებზე და გაფიცვის დროს პირდებიან ფულად დახმარებას.

რით განსხვავდება ეს ზომა ბურჟუაზიული პარტიების მოქმედებისაგან, როცა ისინი არჩევნების წინ ფულით ყიდულობენ შეუგნებელ ამომრჩევლების ხმებს?

არაფრით. მუშების ასეთი დანაწილება კიდევ უფრო მეტი საზიზღრობაა, ვინემ შეუგნებელ ამომრჩევლების მოსყიდვა ბურჟუაზიის მიერ.

ამ შემთხვევაში მენშევიკების ლიდერებს იმდენად გაფიცულ მუშების მდგომარეობაზე არ შესტკივათ გული, რამდენადაც სურთ ამ საშუალებით გავლენა მოიპოვონ იმ მუშებზედაც, რომლებიც თუმცა მენშევიკური პარტიის წევრებად არ ითვლებიან, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მაინც იზიარებენ მათ პოლიტიკას.

მასების გამემარცხენებამ აიძულა გერმანიის სოც.-დემოკრატიის ლიდერები მიმხრობოდენ მუშების ეკონომიურ გაფიცვას, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც მათ სურთ ეს გაფიცვა საკუთარი პარტიული კაპიტალის შესაძენად გამოიყენონ.

მაგრამ არა გვგონია, რომ მათ ამ ფანდებით სასურველი შედეგები მიიღონ. პირიქით, მათი ასეთი მოქმედება უფრო ადრე გამოაფხიზლებს იმათაც კი, ვინც დღემდის კიდევ ემხრობა მენშევიკების თვალსაზრისს.

გერმანიის კომუნისტური პარტია შესაფერისად გამოიყენებს მენშევიკების ამ მორიგი გამცემლობის ფაქტს.

ს. ელიაძე.

# სოციალ-მოღალატეები ორ ფრონტზე მუშაობენ

გერმანიის რეაქციონური ბურჟუაზიისათვის, რომელიც ვილჰელმის მონარქიასთან ერთად ჩამოაცილა სახელმწიფოს ხელმძღვანელობას გამარჯვებულმა პროლეტარიატმა, არც ისე ადვილი იყო რესტავრაციის მოხდენა, რომ გერმანიის სოც.-დემ. ლიდერები არ დახმარებოდენ ამ საქმეში, რომ მათ არ ჩაედინათ მოღალატეობა მუშათა კლასის წინაშე. ებერტ — შეიდემან — ნოსკეს მოხერხებულმა და თავდადებულმა მუშაობამ ბურჟუაზიის სასარგებლოდ გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანიის რევოლიუციის დამარცხებაში. მათი საშუალებით განახორციელა ბურჟუაზიამ გამარჯვებული რევოლიუციის დამარცხება და სახელმწიფო ძალა-უფლების დაპყრობა.

სოც.-დემ. ბელადები, ვეიმარის კოალიციიდან დაწყებული იმდენად დაუახლოვდენ იდეურად და შეეზარდენ პოლიტიკურად ბურჟუაზიას, რომ მისი დაცვა მათთვის პირდაპირ ფიზიკურ მოთხოვნილებად გადაიქცა;

ეხლაც კი, როდესაც სახელმწიფოს გახაგებს ვილჰელმის ერთგული მეგობარი და ნაფიცი მონარქისტი ჰინდენბურგი, როდესაც ზედმეტი აღმოჩნდა ბურჟუაზიისათვის მათთან პოლიტიკური კავშირის დაჭერა ოფიციალურად და მთავრობის სავარძლების განაწილება, სოციალ - დემოკრატია მაინც არ იღებს ხელს კაპიტალიზმის დაცვაზე და მის საიმედო რეზერვში თვლის თავს, რომ საჭირო მომენტში ისევ გამოვიდეს ბურჟუაზიის დასაცავად.

გერმანიის თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა დიდ სიპტომებს იძლევა, რომ ბურჟუაზიას მალე დასჭირდება სოც.-დემ. დახმარება. ის კაპიტალისტური სტაბილიზაცია, რომელიც ჰქონდა გამოცხადებული გერმანიის ბურჟუაზიას პოლიტიკურ და ეკონომიურ ფრონტზე და რომელსაც მან მიაღწია მუშათა კლასის უსაზღვრო ექსპლოატაციით და დაუესის გეგმის საშუალებით, უდღეური აღმოჩნდა. მას უკვე ელევა ეკონომიური რესურსები და მეორეს მხრივ, იზრდება მუშების რევოლიუციონური განწყობილება და თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლა მათ წინააღმდეგ.

უკანასკნელ თვეებში ჩატარებული მუნიციპალური არჩევნები, სადაც სასტიკი დამარცხება ხვდა წილად მთავრობის პარტიებს და სარეკორდო გამარჯვებას მიაღწიეს სოც.-დემ. და კომუნისტებმა, ნათლად გვიჩვენებს, რომ ბურჟუაზიის პოლიტიკური სტაბილიზაცია დარღვეულია, რეიხსტაგი უკვე აღარ არის პოლიტიკური ძალე, ბის ეხლანდელი განწყობილების გამომხატველი და მომავალ არჩევნებში ბურჟუაზია უნდა მოელოდეს დამარცხებას და ძალა-უფლების დაკარგვას.

ამ პროცესს, მუშათა კლასის გამემარცხენებას, ამჟამად იმდენად ფართო და მასიური ხასიათი აქვს მიღებული, რომ მას ვერ ასცდა ლიბერალური ცენტრის კათოლიკური პარტიაც და ეხლანდელი ბურჟუაზიული კოალიციის ეს მთავარი სიმაგრე, განხეთქილების წინაშეა დაყენებული.

ნაციონალისტების დასამშვიდებლად და მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ დემონსტრაციის მოსახდენად, პარტიის თავმჯდომარემ რეიხსკანცლერმა მარქსმა გააკეთა ერთგვარი პოლიტიკური მანევრი, საჯაროდ გამოვიდა განცხადებით: ეგ ცენტრის პარტია არ არის რესპუბლიკანური ან მონარქიული, ის მხოლოდ კონსტიტუციონური"ო, მაგრამ ამან კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა. მარქსის განცხადებამ იმდენად დიდი მღელვარება და ახმაურება გამოიწვია პარტიის მუშურ და წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებში, რომ მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებმა შტეგერვალდმა და იმბუშმა პროტესტით გამოვიდენ მარქსის განცხადების წინააღმდეგ, პირველმა უარი განაცხადა პარტიის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დარჩენაზე, ხოლო მეორემ კატეგორიულად მოითხოვა მარქსის გადაყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებლად სცნო დამოუკიდებელი კათოლიკური მუშათა პარტიის დაარსება.

ამ მოვლენას ევროპის პოლიტიკური წრეებიც გამოეხმაურენ. პარიზში დიდი ბანკეტი გაუმართეს ბრიანის მონაწილეობით ცენტრის პარტიის მემარცხენე ფრთის ბელადს, ვირტს, რომელიც ერთ დროს, კაპიტალიზმის სტაბილიზაციის, ანუ რეაქციის შემოტევის ხანაში, კაპიტულიაციაზე წავიდა მარქსის წინაშე.

გერმანიის ბურჟუაზიისათვის პოლიტიკური „სტაბილიზაციის" დარღვევასთან ერთად არა ნაკლებ დამაფიქრებელია დაუესის გეგმის გადასინჯვის შესაძლებლობა, რის შესახებაც, გაკვრით, რეპერაციების გენერალური აგენტის გილბერტის წლიურ საანგარიშო მოხსენებაში არის ნათქვამი და ამერიკის ბურჟუაზიულმა პრესამაც ჩამოაგდო ლაპარაკი.

დაუესის გეგმა, როგორც ვიცით, სარეპარაციო საკითხში წარმოადგენდა ინგლის-ამერიკის მიერ შემუშავებულ პალიატიურ საშუალებას გერმანიისათვის სარეპარაციო გადასახადის გასასტუმრებლად და ამავე დროს მიმართული იყო საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელმაც 1923 წ. დასაწყისში, რეპარაციის შეუსრულებლობის საბაბის ქვეშ, შეიჭრა გერმანიის ტერიტორიაზე, მოახდინა რურის ოლქის ოკუპაცია, რითაც უნდოდა გერმანიის სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევა და ეკონომიურად გაძლიერების საშუალების წართმევა.

—ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები, ცხადია, ვერ მოითმენდენ საფრანგეთის იმპერიალისტების ასეთ თავხედურ და სეპარატიულ გამოსვლას გრმეანიის წინააღმდეგ და დაუესის გგმით შებორკეს მისი იმპერიალისტური ფანტაზია.

გერმანიის ბურჟუაზიამ, რომელმაც რეპარაციის მთელი სიმძიმე მუშათა კლასზე გადაიტანა, და დაუესის გეგმით დააზღვევა ვალიუტის სტაბილიზაცია, შეუდგა ნაციონალური წარმოების გაფართოვებას და კაპიტალის დაგროვებას, რისთვისაც მიმართა საგარეო სესხის აღებას, რაც უკვე 11 მილიარდ მარკას აღემატება.

გერმანიის კაპიტალის ასეთი კურსი არც ისე ხელსაყრელია ამერიკის ბურჟუაზიისათვის. დაუესის გეგმით ამერიკა მიზნად ისახავს ევროპის თავისი ეკონომიური გავლენის ქვეშ დაყენებას და ამ მხრივ სამოქმედო ბაზის გერმანიაში შექმნას და არა ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოების ფინანსიურად გაძლიერებას. ამიტომ არ არის მოულოდნელი, რომ მორგანის კომპანიამ წამოაყენოს დაუესის გეგმის გადასინჯვის წინადადება, მოითხოვოს რეპარაციის პრობლემის გადაწყვეტა, მოკავშირების დავალიანების გასანაღდებელი რეალური გარანტიები.

როგორც ირკვევა, ამერიკის ბურჟუაზიას ამ მიზნის მისაღწევად განზრახული აქვს, რომ მოკავშირეების დავალიანება გადაიტანოს რეპარაციების ანგარიშში, რამოაც გერმანიისაგან მიიღებს აქციებს მის მსხვილ წარმოებებში, ე. ი. გერმანიას გადააქცევს თავის კოლონიად.

ამ გეგმის განხორციელება, რა თქმა უნდა, არაა მისაღები გერმანიის ბურჟუაზიისათვის და ის ყოველ მხრივ შეეცდება, რომ ხელი შეუშალოს ამ პრობლემის წამოყენებას, მაგრამ მის დიდ იმპერიალისტურ გეგმებზე ესეც ცუდ გავლენას მოახდენს და შეასუსტებს ეკონომიური „სტაბილიზაციის" დიდ ოცნებას.

სოც.-დემ. ლიდერები უკვე გრძნობენ, რომ მემარჯვენე რეაქციონური პარტიების საგარეო და საშინაო „ძლიერება" შერყეულია. მუშების მასიური გამემარცხენება და აქტიურ შეტევაზე გადასვლა რეაქციის წინააღმდეგ დაწყებული ფაქტია და ამიტომ შეუდგენ წინასწარ სამზადისს და, როგორც ყოველთვის, ეხლაც ორივე ფრონტზე დაიწყეს მუშაობა, ბურჟუაზიას და პროლე-

ტარიატს ორივეს არწმუნებენ თავის ერთგულებაში.

რეიხსტაგში, ბიუჯეტის გარშემო გამართულ კამათში სოც.-დემ. ფრაქციის წარმომადგენელმა სევერინგმა საჯაროდ გამოთქვა სურვილი „ძველი კოალიციის“ განახლებისა, და ბურჟუაზიის დასარწმუნებლად ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ სოც.-დემ. მხარს უჭერს „გერმანიის სახელმწიფოებრივობას და კონსტიტუციის დაცვას“-ო.

სოც.-დემ. ლიდერები, რომლებიც ბურჟუაზიულ დაწესებულებებში აშკარად ღალატობენ მუშათა კლასს, არ უშლის ხელს, რომ მუშათა ორგანიზაციებში, მუშათა აუდიტორიის წინაშე გავლენის შესანარჩუნებლად მემარცხენე ფრაზეოლოგიით გამოვიდენ, რადგან იციან, მუშებში გავლენის დაკარგვის შემდეგ, ისინი სრულიად ზედმეტი იქნებიან ბურჟუაზიისათვის.

ასეთ მანევრებს აკეთებენ ისინი ამჟამად ლითონის წარმოებაში დაწყებულ გაფიცვის ირგვლივ. იმ დროს, როდესაც არავითარ ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას არ უწევენ ისინი გაფიცულებს ბრძოლის გასამარჯვებლად და მწარმოებლების დავალებით ურჩევენ მუშებს სამედიატორო გადაწყვეტილებებზე დამორჩილებას, გალეში მოწოდებით გამოდიან: „რადგანაც ბრძოლა მაღალი ხელფასისათვის იქნება ხანგრძლივი, პარტია აგროვებს განსაკუთრებულ თანხებს გაფიცულ სოც.-დემ. და მათი გავლენის ქვეშ მყოფ გაფიცულებისათვის დახმარების გასაწევად, რისთვისაც პარტიის სეკრეტარიატს უნდა აცნობონ მისამართითო“.

ეს მოწოდება, რა თქმა უნდა, ნაკარნახევია მხოლოდ მომავალი არჩევნებით, მაგრამ მუშათა კლასმა წარსული ბრძოლებიდანაც კარგად იცის, თუ, რა აზრი აქვს ასეთ მანევრებს და როგორ უნდა უპასუხონ მას.

არც ბურჟუაზია არის გულხელდაკრეფილი. ისიც დიდ მუშაობას ეწევა არჩევნებისათვის. ეხლახან დაარსებული „გერმანიის სახელმწიფოს განმაახლებელი კავშირი“, რომელიც აერთიანებს ბურჟუაზიული პარტიების ყველა რეაქციონურ წრეებს, ყოფილი კონცლერის ლიუტერის თავმჯდომარეობით, არის ის ორგანიზაცია, რომლითაც უნდათ მონოპოლისტურ კაპიტალს შეუქმნან შესაფერი ცენტრალისტური ადმინისტრატიული აპარატი, რათა გაუადვილდეს ბურჟუაზიას პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის წარმოება მუშათა კლასის წინააღმდეგ. სოც.-დემ. არც ამ ორგანიზაციაშია მონაწილეობის გარეშე დარჩენილი და ნოსკეს სახით არის წარმომადგენელი იქ.

მომავალი საპარლამენტო არჩევნები გერმანიაში არა ხელსაყრელ პირობებში ჩატარდება ბურჟუაზიისათვის, მუშათა მასები მას გაცილებით მომზადებული ხვდებიან წარსულ არჩევნებთან შედარებით კომპარტიების ხელმძღვანელობით, ხოლო სოც.-დემ. ორივე ფრონტზე მუშაობენ, ბურჟუაზიასთან კავშირში რჩებიან და ვითომ მუშებსაც ესარჩლებიან.

კ. ქეიშვილი.

# ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

III

ბიუროკრატიზმს აქვს მრავალი სახე და ათასი ხვრელი, საიდანაც იგი იჭრება საბჭოთა რესპუბლიკის ორგანიზმში.

პუშკინის ცნობილი ფრაზა „Любовь подкралась осторожно“ ზედგამოჭრილია სწორედ ბიუროკრატიზმზე. იგი ისე შეეპარება ადამიანს, რომ ის ყველაზე გვიან გაიგებს ამის შესახებ. ის ყოველდღიურად ყლაპავს ბიუროკრატიზმის საგრძნობ დოზას, ითვისებს ძველ მანერებს და ტრადიციებს, მხოლოდ ხშირად თვითონ ვერც კი ამჩნევს ამას. ბიუროკრატიზმი არ მოდის ხმაურით, დეკლარაციითა და პლატფორმით. ის შემპარავი სენია. ამაშია სწორედ ბიუროკრატიზმის უმთავრესი საფრთხე.

წინა წერილში ჩვენ აღვნიშნეთ ბიუროკრატიზმის უმთავრესი ფორმები. აქ მოვიყვანთ ზოგიერთ კონკრეტიულ ფაქტებს, რომლებშიაც თავს იჩენს ხოლმე პირდაპირ თუ არა პირდაპირ ბიუროკრატიული განხრა.

ერთმა პატარა დაწესებულებამ შუამდგომლობა აღძრა უფრო დიდ დაწესებულების წინაშე, უფრო დიდმა დაწესებულებამ შუამდგომლობა უარჰყო, რაც აცნობა პატარა დაწესებულებას. ამის შემდეგ უფრო დიდი დაწესებულების ერთ ერთი განყოფილებიდან პატარა დაწესებულებას მოდის ზედი-ზედ ორი ქაღალდი. გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი პასუხი ამ და ამ ნომრის ჩვენს მომართვაზეო. ახლა მიბრძანეთ: რა ეწოდება ამას? თქვენ შუამდგომლობა აღძარით, რომელზედაც უარი მიიღეთ. დაწესებულება, რომელმაც თქვენი შუამდგომლობა უარჰყო, კვლავ თქვენ გწერს: თქვენი პასუხი გვაცნობეო. რა პასუხი?

სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ ქვემდებარე დაწესებულებამ 2-3 დღით დააგვიანა ელექტრონის ფულის შეტანა (თუ თავის დროზე არ მიიღო ფული, საიდან გადაიხადოს?!) ელექტრონის სამმართველოდან მოდის საგანგებო კაცი და სჭრის სინათლეს. მიზან შეწონილია ასეთი მოქმედება? რა თქმა უნდა არა. დაწესებულების მუშაობა შეფერხდა და არც ელექტრონის სამმართველოს მოუგია რამე!..

დაწესებულებაში ტელეფონი არ მუშაობს. ტელეფონის ქსელის სამმართველოს ურეკავენ მეზობელ დაწესებულებიდან: — ტელეფონი არ მუშაობს გთხოვთ გაასწოროთ. მეორე დღეს ისევ ურეკავენ ტელეფონის სამმართველოს მეორე ადგილიდან იმავე ტელეფონის შესახებ, ტელეფონი ისევ არ მუშაობს, გადის 3-4 დღე, სამმართველოში იგზავნება კაცი და ირკვევა, რომ დაწესებულებას ფულის შეტანა დაგვიანებია. ტელეფონი რომ გამორიცხა იმ კაცს ხომ შეეძლო დაერეკა დაწესებულებისათვის: თქვენი ვადა გავიდა, თუ ფულს არ შემოიტანთ, ტელეფონს გამოვრიცხავთ? — შეეძლო, მაგრამ არ ქნა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ სადმე იქნება დაწერილი: ვინც თავის დროზე ფულს არ შემოიტანს, ტელეფონი გამოურიცხეთო. ეს დაწერილი სრულდება მექანიკურად და საქმისათვის ზიანი მოაქვს. უდავოა, კანონში არ იქნება ნათქვამი: აბონენტი არ გააფრთხილოთ, მოულოდნელად თავს დაესხით და ბდღვირი ადინეთო!

ზოგიერთ დაწესებულებაში არსებობს ასეთი წესი: მიადგები კარებს თუ არა მდივანი თუ კარის კაცი მოგაყრის კითხვებს: ვინა ხართ, საიდან ხართ, რა გნებავთ? ამ კითხვების მიზანი უთუოდ ის უნდა იყოს, რომ დაწესებულებას ან მის მეთაურს არ მიმართონ ისეთი საქმეების გამო, რომელიც მას არ ეხება და მის კომპეტენციაში არ შედის. დროის ეკონომიისათვის ეს მართლაც ძლიერ საჭიროა, მაგრამ ამ სახით სავსებით მიზან შეწონილად ვერ ჩაითვლება. როცა მაგლითად მთხოვნელს დაწერილი განცხადება აქვს. მდივანს შეუძლია ის ადვილად გადახედოს და საქმე და მთხოვნელი კუთვნილებისამებრ მიმართოს. მაგრამ როცა მთხოვნელს სურს დაწესებულების მეთაურს პირადათ მოელაპარაკოს, მაშინ ძლიერ უხერხულია მდივნისათვის თუ კარის კაცისათვის იმის მოყოლა, თუ რისთვის მოდით თქვენ დაწესებულებაში. შეიძლება, მე არ მსურს მდივანს უთხრა ის, რასაც ვეტყვი დაწესებულების მეთაურს, ეს მით უფრო უხერხულია, რომ ეს მოხსენება ხდება საჯაროდ, გარეშე პირთა, ხშირად სრულიად უცნობ პირთა, თანდასწრებით.

უდავოა, რომ ზოგიერთი დაწესებულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მთხოვნელის ვინაობას და საჭირო-

ბის ხასიათის გამორკვევას. მაგრამ დაწესებულებათა დიდ უმეტესობისათვის ის სრულებით საჭირო არ არის.

დაწესებულებებში მიღებაზე ხშირია რიგები, კარებთან ზის თანამშრომელი და ერთ გაწამაწიაშია, ხშირად მას უსიამოვნება მოსდის მთხოვნელებთან, წესრიგი ირღვევა, ბევრი რიგს გარეშე შედის. რაც დანარჩენებში უკმაყოფილებას იწვევს და სხვა.

ამ შემთხვევაში ყველაზე უკეთესი იქნებოდა ჩაწერის სისტემის შემოღება: მთხოვნელი მისვლისთანავე ჩაეწერება რიგში ან თვითონ ან მას ჩასწერს დაწესებულების თანამშრომელი, რომელსაც ეს საქმე ექნება დავალებული, ვინც ადრე ჩაეწერა ადრეც შევა და ასე ბოლომდი. ამ გზით უკმაყოფილებას ალაგი აღარ ექნება და მიღებაზე თავის მტვრევა და აყალ-მაყალიც მოისპობა.

ხდება ასეთი მოვლენებიც. დაწესებულებაში დილიდან გროვდებიან მთხოვნელები, უცდიან დაწესებულების ხელმძღვანელს, გადის რამოდენიმე საათი და შემდეგ აცხადებენ: დღეს მიღება აღარ იქნებაო. ასეთი წესი დაუშვებელია. უნდა ვეცადოთ ყოველი ღონით, რომ მიღებისათვის დანიშნულ დროზე მთხოვნელები მიღებული და მოსმენილ იქნან. თუ რაიმე განსაკუთრებული მიზეზის გამო დაწესებულების მეთაურს არ შეუძლია მთხოვნელების მიღება (კრებები, სასწრაფო საპასუხისმგებლო საქმე), უნდა ვეცადოთ, რომ ეს რაც შეიძლება ადრე ვაცნობოთ მთხოვნელებს, რომლებიც მისაღებ ოთახში იცდიან, გამოვაკრათ განცხადება და სხვა.

მიუღებელია ასეთი ზნე ჩვეულებაც: შედიხარ დაწესებულების ხელმძღვანელთან. გინდა გააცნო საქმის მდგომარეობა: ამ დროს თავზე გადგება რამოდენიმე კაცი, სრულიად უცნობი, რომლებიც მოსულან აგრეთვე თავის საქმეებზე. შენ ჯერ არც კი დაგიწყია ხეირიანად ლაპარაკი, აგერ სრულიად უცხობი კაცი სულ სხვა საქმეზე იწყებს დაწესებულების იმავე მეთაურთან ლაპარაკს, შენი საქმე შუაზე წყდება, ვერ აწრებ დაწვრილებით მოხსენებას, ყველა ჩქარობს, შენც ჩქარობ გავიწყდება ბევრი რამ ან უხერხულად მიგაჩნია უცხო ხალხთან ზოგი რამის თქმა.

გამოდიხარ ისევ გაურკვეველი, დაუკმაყოფილებელი. ასეთი წესი არვარგა.

**ვიდრე ერთი საქმე არ გათავდება სხვა საქმეზე მთხოვნელები თუ მომხსენებლები დაწესებულების მთაურმა არ უნდა მიიღოს.**

ხშირია ასეთი შემთხვევებიც: შედიხარ დაწესებულებაში და ვერ ერკვევი, არსად არავითარი წარწერა, არ იცი რომელ ოთახში შეხვიდე, ვის მიმართო! საჭიროა ყველგან წარწერები, რომ კაცი ადვილად გაერკვეს და საქმე სწრაფად გააკეთოს.

შეხვდები ასეთ მაგალითებსაც: კაბინეტის კარებზე აწერია: „მოუხსენებლად შესვლა აკრძალულია“, იმავე დროს კარებთან არავინ არის, რომ ეს მოხსენება გააკეთოს. ცხადია, თუ „მოუხსენებლად შესვლა აკრძალულია“. კარებთან უნდა იყოს მოხსენებელი.

**ლეო შენგელაია.**

# მეც მომისმინეთ

1905 წლიდან მე ვიყავი სოციალისტ - რევოლიუციონერთა პარტიის ერთი აქტიური წევრთაგანი. საქართველოს გასაბჭოების დროს მე მონაწილეობა მივიღე პარტიის სახელით დეკლარაციის გამოშვებაში და შემდეგ კი, ვიღებდი — რა მონაწილეობას საზოგადოთ საბჭოთა აღმშენებლობაში, ამავე დროს პოლიტიკურად სრულიად პასსივობას ვიჩენდი.

იყო შემთხვევა, რომ ამ პასსივობამ შემცდარი ნაბიჯიც კი გადამადგმევინა. თითქმის წელიწადია, რაც ვუკვირდები ამ მდგომარეობას, ავსწონ - დავსწონე ყველაფერი და იმ აუცილებელ დასკვნამდის მივედი, რომ არამც თუ საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ მოქმედება, არამედ პასივობაც მომაკვდინებელი დანაშაულია ყოველი პატიოსანი საბჭოთა მოქალაქისათვის, ხოლო მშრომელი ადამიანისა და სოციალისტისათვის მით უმეტეს.

მხოლოდ გაბატონების სურვილით დაბრმავებულ მენშევიკურ ემიგრაციის ბელადებს და მათ უგუნურ ამყოლ - დამყოლთ არ შეუძლიათ დაინახონ ის გიგანტიური აღმშენებლობითი მუშაობა, რომელსაც აწარმოებს საბჭოთა ხელისუფლება ყოველ დარგში: სკოლები, სამკითხველოები, საავადმყოფოები, ხიდები, გზები რადიოგადმომცემლები, ბაფრიკა - ქარხნები, ჰიდრო - ელსადგურები, ნათსნობა ადგილობრივ მდინარეებზე, მადნეულებათა დამუშავება და სხვა მრავალი...

ეროვნულ საკითხში ხომ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა საბჭოთა ხელისუფლებამ? მოისპო მეზობელ ეროვნებათა შორის ჩხუბი და დავა, რასაც უმთავრესად ადგილი ჰქონდა მენშევიკების დროს, და მათ შორის დამყარდა სრული სოლიდარობა და ძმური თანამშრომლობა. არც შიგნით არსებობს ეროვნებათა შორის შუღლი და მტრობა. ერების უმცირესობათა ინტერესები სამართლიანად დაცულია. ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, გაბატონებულია რესპუბლიკაში, გატარებული სრული გაეროვნება...

მაშ, რა სურს ემიგრაციას?

აგვისტოს დღეების მსგავსი აწი არ განმეორდება. კმარა, რაც უბედურება დაატეხა ქართველ ერს ემიგრაციამ 1924 წელს მოწყობილ ავანტიურის საშუალებით! კმარა, რაღაც ჭორებითა და ლანძღვა - გინებით სავსე მათი უგუნური და დუხჭირი საშუალებით ქართველი ერის გამანადგურებელ მდგომარეობის ხელოვნურად შექმნა!

სირცხვილი იმ მშრომელ ელემენტსა და სოციალისტს, რომელიც თავისი თვალით ხედავს რა, საბჭოთა მთავრობის ასეთ დაუშრეტელ ენერგიით მუშაობას და გვერდში არ ამოუდგება ხელისუფლებას და მასთან ერთად არ აწარმოებს თავ - დაუზოგველ ბრძოლას, როგორც კაპიტალისტურ ქვეყნების მიერ ინტერვენციის ცდის წინაამდეგ, ისე ქართველი ემიგრაციის ლიდერების მიერ წარმოებულ ქართველი ერის დამღუპველი მუშაობის წინაამდეგ!

არალეგალური მუშაობის სრული ლიკვიდაცია!

ხელისუფლებისა და მის ხელმძღვანელ კომპარტიასთან ერთად!

აქეთკენ მოუწოდებ ყველა მუშას, გლეხს, სოციალისტებს და საერთოდ პატიოსან მოქალაქეს!

პირადათ მე ვსდებ ფიცსა და პატიოსან სიტყვას, სადაც და რა პირობებშიაც არ უნდა ვიყო, ძთელის ჩემის არსებით ვიქნე საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად, როგორც ეკონომიურ - კულტურულ დარგში, ისე პოლიტიკურადაც.

ძირს იმპერიალისტები და მათი მაჩანჩალა ქართველი ემიგრაცია!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის მესვეურ კომუნისტურ პარტიას!

**ნიკო. ბერიძე.**

# ხელოვნების საკითხების ირგვლივ

## I

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მკითხველი გაეცნობა ამხ. ი. ჯავახიშვილის წერილს: — „მუშების კულტურა ცენტრისას უნდა დაეწიოს“.

სრულიად უცვლელად ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა მასში გამოთქმულ აზრებს სრულებითაც არ ვიზიარებთ. **ჩვენ** ვერაფოდეს ვერ დავეთანხმებით ავტორს იმაში, რომ **ჩვენი ცენტრი,** ესე-იგი ქართველი ხალხის ინტელიგენტური ნაწილი, კულტურულად **ერთობ** განვითარებული იყოს და **მუშათა უბანი,** რევოლიუციის კერა, ჩვენი ძველი, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა, ძალ-ღონით სავსე ნაძალადევი კულტურულად „ცენტრზე“ ჩამორჩენილი იყოს.

ჩვენ სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია ის ტენდენცია, რომელიც მუშათა უბნების ჩამორჩენილობის და ცენტრის მაღალკულტუროსნობის მომხრეებს დასჩემდათ ამ ბოლო დროს. ეს მწერლები არამკითხე ოპეკუნობას უწევენ მუშებს, იმათ ასე წარმოუდგენიათ: მუშები— ეს უბრალო მასაა, მისი სუსტი გონება სერიოზულ გონებრივ საზრდოს ვერ მოერევა, ვერ გადახარშავს; იმას მხოლოდ იმერული ფქვილის ღომი და ლობიო, ან ფაფა უნდა მივაწოდოთო..

სცდებიან, ათასჯერ სცდებიან ისინი, რომლებიც ასე, მეტი რომ არა ვთქვათ, მარტივად აზროვნობენ. იმათ, ეტყობა, სრულიად არ იციან ჩვენი ახალი ეროვნულ კულტურის ისტორია. მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენი ახალი კულტურა ზეციდან არ ჩამოფრენილა მზა-მზარეულად, რომ იგი ქართველმა ხალხმა, მისმა ფესვებმა, მისმა მშრომელმა ნაწილმა შექმნა. მათ ავიწყდებათ, რომ ქართული პრესა, ქართული ახალი ლიტერატურა, ქართული ხელოვნება, ქართველი ხალხის მხოლოდ იმ ნაწილმა შექმნა, სახელდობრ ხალხის იმ ნაწილმა, რომელმაც უცხო ენა არ იცოდა, რომელიც ძალაუნებურად იყო იძულებული ეწერა, ეკითხა, ელაპარაკა და ეაზროვნა მხოლოდ და მხოლოდ თავის მშობლიურ ენაზე და რომელსაც იქნება სწორედ ამიტომ ვერ მოერია გადაგვარების მსახვრალი ხელი, რომელმაც დიდი ხნის წინათ დაარღვია და გაანიავა ქართველი ინტელიგენცია, ქართველი ხალხის მაღლა ფენები...

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ახალი ქართული კულტურის მებაირახტრეთ, მისი აღორძინებისათვის მებრძოლად ქართველი მუშა, ქართველი გლეხკაცობის უფრო შეგნებული ნაწილი უნდა გამოსულიყო... აქედან აშკარაა, რომ ქართველი ხალხის მშრომელმა ნაწილმა ქართული ძველი კულტურის ყველა საგანძურები, ქართული კულტურის საძირკველი და ზედ ააშენა ახალი კულტურის კედლებიც.

ეს უდიდესი საქმე გააკეთა არა რუსთაველის ან ძველმა გოლოვინის პროსპექტმა, არამედ მივარდნილმა და მიყრუებულმა ძველმა ავჭალის ქუჩამ, არა განათლებულმა და კულტუროსანმა ცენტრმა, არამედ მუშათა უბნებმა და ყველაზე მეტად რევოლიუციის უდიდესმა ძრედმა ჭილარა „ნაძალადევმა“.

და დღეს ამ „ნაძალადევიდან“ გამოდიან ისეთი მწერლები, ისეთი მოაზროვნეები, რომლებიც გადაგვარების კერას, საკუთარ კულტურის საფუძვლებს მოკლებულს და სხვისი კულტურის ნაფინჩხების შემყურე ცენტრს ებოდიშებიან: — ჩვენ თქვენთან რა შედარება შეგვიძლია. თქვენ კულტურის აკადემია დიდი ხანია რაც დაასრულეთ. ჩვენ კულტურის ან-ბანი ახლა უნდა დავიწყოთ. მოიღეთ მოწყალება, გვასწავლეთო...

ეს ყოვლად უსუსური და თანაც ყოვლად შეუწყნარებელი აზრია. ეს იმასა ჰგავს, რომ დედა ახლად დაბადებულ, უსუსურ ბალღს ეხვეწებოდეს: — ლაპარაკი დიაროული მასწავლეო.

ამ წერილის მიზანია მოვაგონოთ, როგორც ამხ. ი. ჯავახიშვილს, ისე ყველა მის თანამოაზრეებს და ყველა ჩვენს მუშა თანამოკალმეებს, რომ მუშათა უბნებს ცენტრებთან საბოდიშო არაფერი აქვთ. პირიქით, ცენტრმა უნდა იცოდეს, რომ ის კულტურული ღირსებულებები, რომლებსაც ის ასე ურცხვად დაპატრონებია, მუშათა უბნებშია შექმნილი... ყველამ უნდა იცოდეს, რომ ის, ვინც ახალი სამყაროს საძირკვლების დასკვნა შესძლო, კედლების აშენებასაც შესძლებს.

ჩვენი „ახალი გზა“ თეატრს შედარებით დიდ ყურადღებას აქცევს. ის დისკუსიის სახით, აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით ხშირად უთმობს ადგილს სხვადასხვა ავტორების წერილებს ამ საგანზე..

თეატრი უდიდესი კულტურული დარგია. ხელოვნების ყველა სხვა დარგებს შორის მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ხალხის პოლიტიკურად გამოფხიზლებისა, მისი კულტურულად ამაღლების საქმეში. თვით უშავ-ბნელესი რეაქციის დროს თეატრი ერთად-ერთი იარაღი იყო მტარვალების წინააღმდეგ. თეატრი იყო ის არენა, რომელზეც მუდამ სწარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მჩაგვრელსა და ჩაგრულთა შორის, ეს იყო ერთად-ერთი სამსაჯულო, რომელიც კიცხვის ბოძზე აკრავდა გალაღებულ ძალმომრეობას. რეაქციის დროს მხოლოდ თეატრში გაისმოდა მებრძოლი ადამიანის მედგარი სიტყვა; იქიდან ხშირად სმენია ხალხს იმედების აღმძვრელი, გამამხნევებელი ბრძოლის საყვირის ხმა თვით პოლიტიკური დაცემულობისა და იდეალების დამხობის ხანაშიაც კი.

თეატრს დღესაც არ მოუჭამია თავისი დრო. ის დღესად უდიდესი იარაღია, უდიდესი საშუალებაა ახალი იდეალების ცხოვრებაში გასატარებლად. მას დღეს კიდევ მეტი შეძლება აქვს რევოლიუციის საყვირი იყოს...

მაგრამ ესეც ცოტაა. თეატრი უდიდესი საშუალებაა ახალი ცხოვრების, ახალი ყოფის, ახალი საზოგადოებრივი ფორმების დასამუშავებლად, მის გასამტკიცებლათ.

ამიტომ ვაქცევთ ჩვენ თეატრს უდიდეს ყურადღებას. ჩვენი სურვილი იყო ამ საგანზე მეტი ეფიქრათ, მეტი ეწერათ და ემსჯელებიათ ჩვენი ახალი ნაციონალური კულტურის კერას მუშათა უბნებს, მათ მწერლებს. ჩვენი სურვილი იყო მათ ეს საქმე გაეხადათ მათი დიდი ყურადღების ღირსად...

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს გაზეთს ამ საქმეში ჯერ-ჯერობით ვერა აქვს მაინცა და მაინც საგრძნობი მიღწევა. მუშათა უბნელები როგორღაც ჯერ-ჯერობით ვერ დაინტერესდენ ამ საკითხით

შეიძლება აქ ის გარემოებაც იყოს დამნაშავე, რომ მათ ეუბნებიან: ასეთ ძვირფას მატერიაზე, როგორიც თეატრია, კულტურის აკადემია დამთავრებულმა „ცენტრმა“ უნდა იმსჯელოს და არა თქვენ, რომლებმაც კულტურის ან-ბანიც არ იცითო.

თუ ამხ. მუშები ამას უწევენ ანგარიშს და მიტომ სდუმან, ეს ფრიად სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ კი მათ ვეუბნებით: მთელი ჩვენი ახალი კულტურა და კერძოთ ჩვენი ეგრეთ წოდებული აკადემიური თეატრი თვით ქართველმა მუშებმა და გლეხებმა შექმნეს და არა გადაგვარებულმა, საკუთარ კულტურას მოკლებულმა ქართველმა ინტელიგენციამ, რომელიც თვითმპყრობელობის დროს არც კი ფიქრობდა თავის საკუთარ ნაციონალურ კულტურაზე და სხვისი მდიდარი კულტურის სუფრიდან გადმოსროლილი ნაფინჩხებითაც დიდათ კმაყოფილი იყო. ყველამ უნდა იცოდეს, რომ **ეს ინტელიგენცია** ნაციონალური ხელოვნებისა და მით უმეტეს თეატრისა და თეატრალური ხელოვნების არბიტრათ ვერ გამოდგება. დღეს ეს აშკარა ფაქტია. დღეს ეს დაამტკიცა იმ გარემოებამ, რომ თვით აკადემიური თეატრი, რომელიც სავსებით ამ ინტელიგენციის ხელშია, ძლივს სულს ღაფავს და თუ არა მთავრობის უხვი დახმარება, ის ამდენხანს ათასჯერ მოისპობოდა.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღვიაროთ, რომ ეს ნაკლი **მარტო** ქართველი ინტელიგენციის ნაკლი როდია. ეს ყველა ინტელიგენციის ნაკლიც არის... დღეს ყველა თეატრის კრიზისზე ლაპარაკობს, როგორც ჩვენში ისე სხვაგან. ბევრ ახალ-ახალ რეცეპტებს სწერენ მის ფეხზე წამოსაყენებლად, მის გასაჯანსაღებლად, მაგრამ საქმეს ვერაფერი ვერ უშველეს... ეს საზოგადოთ. ქართული აკადემიური თეატრი ხომ კიდევ უფრო ცუდ პირობებშია. მისი ურემი დღესაც ისეა ლაფში ჩაფლული, როგორც გუშინ, ის დღესაც ისე უგემურად იცოხნება „ამერიკელი ძია“-თი და „დეზერტირკა“-თი, როგორც წარსულ წელში იცოხნებოდა.

სად არის შველა? ვის უნდა ვკითხოთ რჩევა? ვინ უექიმებს ჩვენს ქრონიკულ სნეულს, ჩვენს აკადემიურ თეატრს?

შველა თვით ხალხშია, თვით მუშათა უბნებშია. ამ საქმეშიც საუკეთესო მრჩეველი თვით ხალხია. ჩვენი თეატრის საუკეთესო ექიმი თვით მუშათა უბნების მცხოვრებლები არიან.

ეს ნურავის ნუ გაუკვირდება. რევოლიუციის კერა, რევოლიუციის საყვირი თეატრი, დღეს თვითონ იბადება რევოლიუციის საშოდან. ის ჯერ კიდევ არ დაბადებულა, ყოველ შემთხვევაში მას ჭიპი კიდევ არ მოსწყვეტია... ოქტომბრის რევოლიუციამ დალეწა ძველი ქვეყანა. მან გადაათვალიერა და გადააფასა ყველა ძველი ღირებულებები. დღეს ყოველიფერი რყევასა და ცვალებადობას განიცდის. ძველი კერპები უკვე ჩამოგორდენ კვარცხლბეკებიდან...

ვის შეუძლია ასეთ დროს საქმეში გარკვევა? რა თქმა უნდა, არა ინტელიგენტის დამფრთხალ გონებას, არამედ რევოლიუციონერს, თვით ამ რევოლიუციის ღვიძლ შვილს, მის ცეცხლში შობილს და მის მებაირახტრეს მუშას, მუშათა უბანს, რომელსაც არ აშინებს ეს ძველის ნგრევის პროცესი და იმავე დროს ასულდგმულებს რევოლიუცია და რევოლიუციონური შემოქმედება.

რა თქმა უნდა, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მუშებმა დრამებისა და კომედიების წერა უნდა დაიწყონ, ან ყველამ მსახიობობა ან რეჟისორობა იკისრონ. ეს მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თვით ხელოვანმა, თვით დრამატურგმა, მეტის ყურადღებით უნდა მოეპყრას, მეტი ანგარიში უნდა გაუწიოს თვით ხალხის მოთხოვნილებას, მის გემოვნებას, მის განცდებს, მის რევოლიუციონურ ფსიხიკას

ასეთი ექსპერიმენტი უკვე გააკეთა ჩვენმა ძველმა თეატრმა. „გაყრის“ ავტორმა ხალხში ჩაუყარა ფესვები ქართულ თეატრს და სწორეთ ამიტომ შესძლო მან ქართული თეატრის შექმნა.

როგორც თემატიურად, ისე თეატრალურად ხალხი შეიქმნა თეატრის კორიფეის გიორგი ერისთავის კომედიების მომბაძველი, თვით ხალხმა გაამართლა ისინი.

ისე და იმ გზით არასოდეს არ მომხდარა თეატრის აღორძინება და საერთოდ ახალი კულტურის გამოჭედვის საქმე, როგორც ეს დღეს ზოგიერთებს გონიათ... თუ ამათ დავუჯერეთ, მუშათა უბნებმა ცენტრიდან უნდა მიიღოს ხინათლე, აკადემიური თეატრიდან უნდა მიიღონ ხსნა.

ეს საქმე უკუღმა დაყენებას ნიშნავს. ეს იმასა ნიშნავს, რომ გოლიათმა ქონდრის კაცს შველა თხოვოს, ან მდიდარი მათხოვარს მოწყალებას სთხოვდეს.

ჩვენ არა თუ ჩვენში, მთელ საბჭოთა კავშირში წარმოუდგენელად მიგვაჩნია აკადემიური თეატრი, ამ სიტყვის ძველი და თანაც მეცნიერული გაგებით.

რას ნიშნავს აკადემია, აკადემიური თეატრი? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს თეატრს ზრდა უკვე დაუსრულებია, ის უკვე გასცილებია ვაჟკაცობის ხანას, მას უკვე გარევია თმაში ჭაღარა, უკვე შეუმუშავებია ხელოვნების უტყუარი კანონები, გამოუმუშავებია ერთი, ყველასათვის საველდებულო მეტრი, რომლითაც ამიერიდან უნდა იზომებოდეს ხელოვნება და შემდეგ დაუსვენია...

ეს ყოვლად შემცდარი აზრია. და ეს შემცდარი აზრი ჩვენ მოსკოვიდან, ჩვენი რევოლიუციის ცენტრიდან, ჩვენი უფროსი ამხანაგებიდან მივიღეთ. ეს მემკვიდრეობა გადათვალიერებული უნდა იქნეს. თუ ის, რაც ჩვენ „აკადემიაზე“ ვთქვით, მისაღებია, მაშინ ყოვლად შეუძლებელია საბჭოთა კავშირში, სადაც რევოლიუცია ჯერ არც კი დამთავრებულა, აკადემიური თეატრის არსებობა.

საბჭოთა კავშირში „აკადემიზმის“ ასე გამეტება შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებით და მეტი არაფრით... ვთქვათ: ჩვენ დავხურეთ ასე ძვირად ღირებული საოპერო და სხვა, ეგრედ წოდებული, აკადემიური თეატრები. რას იტყვიან მაშინ ჩვენი მოსისხლე მტრები? ისინი ქვეყანას გადააყრუებენ ყვირილით, რომ კომუნისტებმა დაღუპეს საუკუნოებით შექმნილი კულტურული ღირებულება. ეს მართლაც საუკეთესო სააგიტაციო მასალა იქნება საბჭოთა წყობილების წინაალმდეგ ყოფილი ადამიანების, მკვდარი სულების ხელში.

ეს აშკარაა. მაგრამ თუ ამას პოლიტიკური მოსაზრება მოითხოვს, ნება თქვენია, დეე არსებობდეს ეს ვითომ და აკადემიური თეატრები, მაგრამ ეს უკანასკნელები არ უნდა უშლიდენ ხელს ახალი ძებნისა და ცდის საქმეს ხელოვნებაში.

ვიცი მეტყვიან: თვით ეს აკადემიაა ისეთი ლაბორატორია, სადაც ახალი კვლევა-ძიება სწარმოებს.

ეს მართალი არ არის. ვინც ასე ფიქრობს, მას ხელოვნება ქიმიიდან ვერ გაურჩევია. ასეთი აკადემიური კვლევა-ძიება მხოლოდ ქიმიაში ან მეცნიერების სხვა რომელიმე დარგშია შესაძლებელი და არა ხელოვნებაში

ჩვენ ვიცით, რომ აკადემიური თეატრი ასეთ ლაბორატორიულ მიზნებს ისახავს. მაგრამ, გვიბრძანეთ: რა ძალით? რა საშუალებებით?

ავიღოთ უდიდესი თეატრალური ხელოვანი სტანისლავსკი. მან ხელოვნების ამ დარგში გააკეთა ის, რის გაკეთებას მხოლოდ გენიოსს შეუძლია. მაგრამ გულწრფელად მიპასუხეთ: სტანისლავსკის შეუძლია დღეს საბჭოთა თეატრის ხელმძღვანელობა? არა. რატომ? იმიტომ, რომ სტანისლავსკი მხოლოდ წარსულის უდიდესი ქურუმია, ის თვითონ აკადემიაა. ის მხოლოდ წარსული ხელოვნების მეტრია, იქტომ. უდიდესი კლდე აღმართა „ალუბლის ბაღისა“, „ბიძია ვანოსა“ და „ჩაიკას“ უდიდესი განმასახიერებელის წინაშე. ის დღეს რევოლიუციონური და მისი მომყოლი ხელოვნებისათვის აღარ არსებობს. ის ჩვენ წინამძღოლად ვერ გამოგვადგება. ის ჩვენი საყვარელი ბაბუაა, რომელსაც თვითონ ესაჭიროება ჩვენი თბილი გული და წინამძღოლობა... საბჭოთა ხელისუფლებამ ის უდიდესი ჯილდოთი დააჯილდოვა. მაგრამ ეს იმიტომ, რომ იგი აფასებს სტანისლავსკის უდიდეს როლს წარსულში. ეს დამსახურებული ჯილდო მხოლოდ წარსულისაა და არა მომავლის; ეს საფლავის ძეგლია, მადლიერი შთამომავლობის მიერ აღმართული...

აიღეთ მეიერხოლდის „აკადემიზმი“. ეს ხელოვანიც უდიდესი მკვლევარი იყო თეატრალურ დარგში. ხელოვნების ამ დარგში არ არსებობს არც ერთი მიმართულება, რომელშიაც მას არ ეცადოს თავისი ძალა და რომელსაც იგი დიდ ხანს შერჩენოდეს. ისიც მემკვიდრეობით მიიღო რევოლიუციონურმა თეატრმა, იმიტომ, რომ ის თვითონ უდიდესი რევოლიუციონერი იყო ამ დარგში: ჩვენ ის გვესტუმრა წარსულ წელში თავისი თეატრით და ბევრი ეცადა რამე ახალი ეთქვა რევოლიუციონური თეატრის შესახებ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ის დაგვიმტკიცა, რომ ის სრულიად არ შეეფერება თანამედროვე თეატრს.

მაშასადამე, ეს ძველები ჩვენთვის მიუღებელია. ჩვენ მათგან ვერაფერს მივიღებთ იმის მეტს, რაც უკვე მივიღეთ. ჩვენ დღეს მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ მათ მხურვალე მადლობითა და სიყვარულით გამოვეთხოვოთ და მათი დიდი ღვაწლით გამდიდრებულები, ჩვენს გზას გავუდგეთ.

ჩვენ უნდა განვშორდეთ, სათოფოთაც არ უნდა მივეკაროთ „აკადემიას“, რომლის კედლებიც ახალი ხელოვნებისათვის მხოლოდ ციხეთა და საპყრობილეთ თუ გამოდგებიან... ჩვენ სამუდამოთ უნდა გამოვეთხოვოთ „აკადე-

მიკოსებს“, რომლებიც თავისი სიმძიმით, თავისი დიდი ავტორიტეტით მაჯლაჯუნასავით თავს აწვებიან და სულს უხუთავენ ახალ ხელოვნებას. რევოლუციამ დალეწა ავტორიტეტები ყოველ სფეროში, ყველაზე უფრო ადრე გაუთხარა საფლავი ავტორიტეტებს ხელოვნების ყველა დარგებში...

მაშ სად არის ხსნა?

ხსნა შექსპირშია. ჩვენ უნდა მივუბრუნდეთ შექსპირს, ჩვენ მისგან უნდა ვისწავლოთ, თუ რა ვაკეთოთ, რა უნდა ვიღონოთ, რომ ახალი დროის შესაფერი თეატრი შევქმნათ.

ეს რა ახალ ამბავს გვეუბნებით? რაშია საქმე? შექსპირი ჩვენს სცენაზე ახლაც ბატონობს, მაგრამ თეატრი მაინც ვერ წამოგვიყენებია — მეტყვის გაკვირვებული მკითხველი.

არა. როცა შექსპირზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მისი დრამები თუ ტრაღედიები კი არა გვაქვს სახეში. ჩვენ მოგახსენებთ მხოლოდ შექსპირის თეატრზე. ჩვენი თეატრის ხსნა მხოლოდ და მხოლოდ შექსპირის თეატრშია, ან უკეთ ვსთქვათ, იმ მეთოდში, იმ მიდგომაში, რომლითაც შექსპირმა დაიწყო თავისი თეატრი.

როგორი იყო შექსპირის თეატრი? იგი ნამდვილი ხალხოსნური თეატრი იყო და ეს არა მარტო თემატიურად. კიდევ უფრო იმიტომ, რომ გენიოსი დრამატურგი თვით ხალხს იყენებდა თავისი შემოქმედების ლაბორატორიათ, თვით ხალხი იყო მისი შემოქმედების საზომი მეტრიც და მსაჯულიც. შექსპირი თვით ხალხის ფსკერში, მის ძირა ფენებში, თვით ამ ხალხის დახმარებით, მისი მოწონებით და დაწუნებით ქმნიდა ახალ თეატრს, მან თვით ხალხში ჩაუყარა საძირკველი თავის ახალ თეატრს. ამიტომ არის, რომ იგი ვერ სძლია მრავალ საუკუნეთა მსახვრალმა ხელმა, ამიტომ არის, რომ შექსპირმა გაუძლო სიკვდილს და კიდევ ისე ახალგაზრდული ენერგიით გადაეცემა საუკუნოებს.

აი გზა, რომელსაც უნდა დავადგეთ დღესაც. ჩვენ ხელახლა უნდა დავუბრუნდეთ ხალხს, მასებს. ჩვენი კვლევა-ძიების ლაბორატორიები ჩვენ უნდა გადავიტანოთ მუშათა უბნებში, ნაძალადევში, ავჭალის ქუჩაზე.

ჩვენ კი გავჭიმულვართ რუსთაველის პროსპექტზე და ვწუწუნებთ: — თეატრი დაეცა, ჩვენი თეატრი თანამედროვეობას არ შეეფერება, თეატრი და მაყურებლები ერთმანეთს დაშორდენ, მათ ერთმანეთის არაფერი გაეგებათო. თავს დავსტირით უაღრესად ხალხოსნურ საქმეს და იმდენად ვერ დაგვიძლევია ჩვენი ინტელიგენტური მედიდურობა, რომ თვით ამ ხალხს შევეკითხოთ: — რას ფიქრობს იგი ამ საგანზე? აქვს თუ არა მას ამის შესახებ თავისი აზრი?

რამდენადაც ეს ჩვენ ვიცით, ამ ყოველგვარი ანკეტების ეპოქაში ერთხელაც არ მოგვსვლია აზრად, რომ ანკეტის საშუალებით მაინც გაგვეგო ამ ხალხის აზრი ამ მისთვის უაღრესად საინტერესო საქმის შესახებ, პირდაპირ საკვირველია. მუშებისა და გლეხების დიქტატურის დროს, ერთხელაც არ გვიფიქრია მიგვემართა თვითონ ამ მუშებისა და გლეხობისათვის, მოგვესმინა მისი აზრი ამ საგანზეც.

ეს, ალბათ ჩვენი ინტელიგენტური მეტიჩრობის ბრალია... და სანამ ჩვენ ამ ძველი სნეულებიდან არ განვკურნულვართ, სამან ჩვენ თავმდაბლათ არ ჩამოვსულვართ იმ კვარცხლბეკიდან, რომელზეც ასე უკანონოთ და სრულიად დაუმსახურებლად წამოვჭიმულვართ, სანამ ორივე ფეხებით მაგრათ არ დავმდგარვართ დედა მიწაზე ხალხის მასებთან და პოტენციალური ძალებით არ გადავხალისებულვართ, მანამდი საქმეს ვერ უშველის ვერც თეატრებზე „აკადემიის“ წარწერები, ვერც დირექტორების კინემატოგრაფიული სისწრაფით ცვლა, ვერც რეჟისორების სალტო-მორტალი.

ბ. გელეიშვილი.

# მუშების უბნის კულტურა ცენტრს უნდა დაეწიოს

(ამხ. ლ. კუპრაშვილის წერილის გამო)

დღეს მუშათა კლუბებში მხატვრულ პიესების დადგმის საკითხი ადგილობრივი მუშური ძალებით სადავო შეიქნა. ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ მუშათა თეატრებში (მაგ. პლეხანოვის) მხატვრულ - აკადემიური პიესების დადგმა იდეოლოგიურად და პოლიტიკურად გაუმართლებელიაო. უკეთ, რომ ვსთქვათ, ისეთი პიესების დადგმა როგორიც არის: „ოტელო“ „ჰამლეტი“ და საერთოდ აკადემიური თეატრის რეპერტუარი, გარე უბნებში არსებულ კლუბ - თეატრებში, დაუშვებელია.

მაშასადამე, თუ ასეთი პიესების დადგმა მიზანშეუწონელია, უნდა დაიდგას ისეთი პიესები, რომლებიც დააკმაყოფილებს მუშათა მასების კულტურულ მოთხოვნილებას. ასეთია რევოლიუციონური და თანამედროვე სოციალისტური აღმშენებლობის გამომსახველი სიუჟეტის პიესები.

ეს კარგი საქმეა, მაგრამ იბადება კითხვა: გვაქვს თუ არა ასეთი პიესები? რა თქმა, უნდა გვაქვს. მაგრამ უდავოა, რომ ასეთი თანამედროვე ხასიათის პიესები ძალზე ცოტაა, ჩვენს რეპერტუარში. (სულ რამოდენიმე) ვსთქვათ, მუშათა დასმა ამოსწურა ეს ახალი რეპერტუარი. შემდეგ რა უნდა ქნას, შემდეგ განა ის, რომ გულზე ხელი დაიკრიფოს და მეტი არაფერი?! ამ აზრს ჩვენ ვერ დავეთანხმებით. ახალი სკოლა თეატრალურ საქმეში ახალი ხილია და ამიტომ ეს ახალი სკოლაც ჩვენ თანდათანობით უნდა შევქმნათ, და წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოვა, ჩვენი ცდა თანამედროვე მხატვრულ თეატრის შექმნის საქმეში ამაო და უნაყოფო იქნება.

ამხ. ფ. მახარაძე ამ საკითხის შესახებ სწერდა: „სიმართლე მოგახსენოთ. ახალი სკოლის არაფერი მესმის“... სხვები ასეთ გულწრფელობას არ იჩენენ ამ საქმეში. სხვები სწერენ, ლაპარაკობენ: თეატრები გავარევოლიუციონუროთ, მუშათა მასებს თანამედროვე აღმშენებლობის ყველა დარგები გააცნოთო. მაგრამ როგორ და რანაირად? ამას ყველა გვერდს უხვევს. ეტყობა, თქმა ადვილია, საქმის გაკეთება კი ძნელი.

დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ მუშურ თეატრის მაყურებელს აკადემიური დრამის აუდიტორიის მაყურებელზე ნაკლები კულტურული მოთხოვნილება არ ექნება.

სისულელე იქნებოდა, რომ ვამბობდეთ: „არ გვინდა რევოლიუციონური სიუჟეტის რეპერტუარი“, „რა საჭიროა თანამედროვეობა სცენაზე“ და სხვა ასეთები... მაგრამ კითხვა იბადება: სწარმოებს თუ არა მუშაობა ასეთი თეატრის შესაქმნელად? რა თქმა უნდა, ცოტა რამ კეთდება, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც ორივე ფეხებით მო ვიკოჭლებთ. მთავარი ნაკლი პიესების უქონლობაა. და სანამ ასეთი ახალი სკოლის პიესები არ შეგვიქმნია. ძალა-უნებურად უნდა მივაწოდოთ მუშათა უბნებს ის რეპერტუარი, რომელსაც აწვდის თავის მაყურებლებს თვითონ აკადემიური სცენა.

ამხ. ლ. კუპრაშვილი „ახალი გზის“ 51 ნომერში სწერს: „აქ (მუშათა უბნებში) ხალხი გონებრივად გაიზარდა, ის დღეს კულტურულ - ესტეტიური მოთხოვნილებით ავრეთწოდებულ კულტურულ ცენტრს არ ჩამოუვარდებაო“.

ამხ. კუპრაშვილის ნათქვამს ერთი უნდა დავუმატოთ. სახელდობრ ის, რომ ქალაქის ცენტრის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია. მისი კულტურა უკვე გა-

ზარდა და განმტკიცდა, მაგრამ ლენინის უბნის მუშებში კი ამას ადგილი არა აქვს. ჩვენის აზრით, აქაურ მუშებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რათა მათი კულტურა დაეწიოს ქალაქის ცენტრის კულტურას.

საჭიროა ამ საქმის საბოლოოდ გადაჭრა. კულტურა მუშებშიც ჩვეულებრივ უნდა შეიჭრას, ის უნდა განმტკიცდეს.

ი. ჯავახიშვილი.

# ყოფ. ახალგაზრდთა მარქსისტთა განყოფილება

## ერთი კვდება, მეორე იზრდება

„უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში დიდი ისტორიული ამბავი მოხდა. ერთ დროში ძლიერმა პოლიტიკურმა პარტიამ სოციალ-დემოკრატიამ, რადიკალურად შეიცვალა საკუთარი პოლიტიკური ფიზიონომია და საერთაშორისო რევოლუციონურ მოძრაობაში წმინდა, ბურჟუაზიული კურსი აიღო. ამ პარტიამ ამასთანავე საქვეყნოთ განაცხადა, რომ კაპიტალიზმის განვითარება თავისთავად მიიყვანს კაცობრიობას სრულ სოციალისტურ გარდაქმნამდე, რომ კაპიტალიზმის — სოციალიზმში გადასვლა მოხდება ევოლიუციონური განვითარებით, რეფორმისტული გზით და ამიტომ ამაოა კლასთა ბრძოლა და საერთაშორისო რევოლიუციაზე ფიქრი“-ო.

ამასთან უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ დემოკრატიის „მარქსისტ“ თეორეტიკოსებს ასეთი დასკვნა დღეს გამოჰყავთ იმ დებულებიდან, რომ ვითომ მსოფლიო კაპიტალიზმმა ფეხი შესდგა მკვიდრ აღორძინების გზაზე და, რომ ეს გზა თითქო შრომასა და კაპიტალს შორის სრულ თანამშრომლობას აზნორციელებს ამ „ჭეშმარიტების“ აღმოჩენის შემდეგ საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიამ და აგრეთვე ამ დემოკრატიაში გაერთიანებულმა ახალგაზრდობამ გულზე ხელები დაიკრიფა და რევოლიუციის გადამწყვეტ ბრძოლაში—მაყურებლის როლში გამოვიდა. მან აქ ასი პროცენტით უღალატა მარქსიზმს, უღალატა მუშათა კლასს და უარჰყო კლასთა ბრძოლა.

ჭეშმარიტად, დიდი ისტორიული ამბავი **მოხდა!**

რუსულ - ქართული მენშევიზმი იმპერიალისტური ომის დროს გვერდში ამოუდგა ბურჟუაზიას და თებერვლის რევოლიუცია ბურჟუაზიას მიაჩეჩა. მან პარალელურად რუსეთისა და საქართველოს მშრომელთა ბედიღბალი შოვინიზმით გათიშა და ერთმანეთს დააშორა. გერმანიისა და ავსტრიის სოც.-დემოკრატიამ გერმანიასა და ავსტრიაში უარი განაცხადეს მაღაროების, რკინის გზებისა და სხვა მსხვილ წარმოებათა ნაციონალიზაციაზე, და მით დასახელებულ ქვეყნებში დაამარცხეს რევოლიუცია. ს.-დემოკრატიამ ასეთივე სამსახური გაუწია რევოლიუციას დანარჩენ ქვეყნებშიც.

მსოფლიო მენშევიზმმა უფრო მტკიცე კურსი აიღო ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის საქმეში. საკმაოა თუ მოვიგონებთ მის დამოკიდებულებას ინგლისელ მემადაროელთა გაფიცვის საკითხში, ავსტრო—„მარქსისტების“ საზმირო საქმეებს ვენის მუშების აჯანყების დროს, როცა მათ ოტ. ბაუერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტყვიით დაუფლენ აჯანყებას იმ მიზნით, რომ იგი ჩაექროთ. საკმაოა გავიხსენოთ მეორე ინტერნაციონალის ნეიტრალური პოზები ჩინეთის რევოლიუციის საკითხში. საკმაოა მოვიგონოთ ერთი ლიგის პაციფისტური თვალთმაქცობა, რომელიც სიტყვით უარყოფს კაპიტალისტურ გასამხედროებას და უკანასკნელის მთლიან ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, საქმით კრედიტებს უმტკიცებს მათ და მეორე ინტერნაციონალთან ერთად ეწევა კონტრ-შეტევას სოციალისტური რევოლიუციის მიმართ.

ყველა ეს და კიდევ უამრავი ფაქტები დღეს მხოლოთ იმას მეტყველებენ, რომ მსოფლიო სოც.-დემოკრატია და მეორე ინტერნაციონალი, როგორც სოციალისტური ორგანიზაცია, აღარ არსებობენ, რომ ისინი უკვე მოკვდენ მუშათა კლასისათვის და მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციისათვის, რომ მთელი მისი თეორია და პრაქტიკა კლასთა ბრძოლის დაღუპვისა და რევოლიუციის დასამარებისაკენ არის მიმართული.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მენშევიზმის ასეთი გახრწნა დღეს არ ხდება ნიღაბ ქვეშ. მას ხედავს და იგი ესმის მთელი ქვეყნის მშრომელებს, პროლეტარიატის ავანგარდს. ყველა კუთხის მშრომელებმა გაიგეს, რომ მენშევიზმმა ხელი აიღო კლასთა ბრძოლაზე და გასცა რევოლიუცია, ყველა ქვეყნებში.

ამ შეგნებამ ევროპის სოციალისტურად განწყობილი მასის პოლიტიკური ორიენტაცია მარცხნივ გადახარა. დღეს ნამდვილათ შეიძლება ვთქვათ, რომ ევროპის მუშათა კლასი არ უჯერებს ევროპიულ მენშევიზმს იმაში, რომ თითქო კლასთა ბრძოლის უარყოფით, კაპიტალიზმის მშვიდობიანი განვითარებით და შრომისა და კაპიტალის ურთიერთ შორის თანამშრომლობით შესაძლებელი იყოს სოციალიზმის მიღწევა. ამ შეგნებამ ევროპის მუშათა კლასში დღეს უფრო სწორად დასვა საკითხი და გააძლიერა პოლიტიკური რევიზიის სურვილი. ამ გარემოებამ გამოიწვია მასიური პოლიტიკური გადასახლება მეორე ინტერნაციონალის ბანაკიდან მესამე ინტერნაციონალის ბანაკში. სოც.-დემოკრატიისაგან განშორებული მუშათა სოციალისტური ნაწილი თანდათან ურიგდება და უერთდება პროლეტარიატის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას.

საერთოდ, ევროპის ქვეყნებში რევოლიუციონური ტალღის აგორებისა და კომუნისტური მოძრაობის სტაბილიზაციის შესახებ დღეს მეტყველებენ უამრავი ფაქტები. ჩვენ გვინდა ამათგან მოვიყვანოთ მხოლოთ ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი, სახელდობრ კომუნისტური სექციების აბსოლუტური ზრდისა და ამ სექციების პოლიტიკური მიღწევების შესახებ ევროპის ქვეყნებში.

თუმცა კაპიტალისტებს თავშივე არ სწამდათ კომუნისტური სექციების არა თუ გაძლიერება, არამედ მისი დროული არსებობაც კი. მაგრამ სინამდვილემ კაპიტალისტურ ილუზიებს გადააჭარბა. კომპარტიამ დღემდე შესძლო არა თუ არსებობა, არამედ მან შესძლო თავის გარშემო ევროპის პროლეტარიატის სასიცოცხლო ძალების შემოკრება და საკუთარი გავლენის შეუჩერებელი გაზრდა ევროპის ყველა ქვეყნებში. ამ პარტიას დღეს დასავლეთის ყველა ქვეყნებში ჰყავს ძლიერი კადრი მშრომლებისა, რომლებიც უშიშრად ამსხვრევენ ეკონომიური უსამართლობისა და ჩაგვრის ბორკილს. მან ამ ბრძოლაში დღემდე მიაღწია მთელ რიგ გამარჯვებებს. ამ გამარჯვებათა შორის აღსანიშნავია—გამარჯვება რომელიც დღეს კომპარტიამ მოიპოვა; სხვადასხვა საქალაქო თვითმართველობებში გავლენის მოპოების დარგში, რაც თავისთავად მეტყველებენ კომპარტიის მორალური და პოლიტიკური ჰეგემონიის გაძლიერებაზე—ევროპის ქვეყნებში.

ამ მხრივ მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევიან არჩევნების შედეგები დასავლეთ ქვეყნების სხვადასხვა თვითმართველობებში. მაგალითად, ჰამბურგში (გერმანია), გასულ წელს კომუნისტებმა მიიღეს 110,000 ხმა. ხმების მიხედვით ამ არჩევნებში მათ დაიკავეს მეორე ადგილი. 1925 წელში კი, პრეზიდენტის არჩევნების დროს მათ შეაგროვეს **66,000 ხმა.** მაშასადამე ამ ორი წლის განმავლობაში, ჰამბურგში კომპარტიას მოიმატა **44,000 ხმა.** ქ. კენისბერგში კომპარტიამ მიიღო **26.000 ხმა,** ე. ი. იმდენი, რამდენიც მიიღო სოციალ-დემოკრატიამ. მდგომარეობა ანალოგიურია გერმანიის დანარჩენ

თვალსაჩინო სამრეწველო ცენტრებში. ლოძში (პოლონეთი) მუშათა მემარცხენე ჯგუფმა, რომელსაც კომპარტია ხელმძღვანელობს, მიიღო **53,000** ხმა. ასეთი შედეგი იმდენად თავზარდამცემი **აღმოჩნდა** პილსუდსკისა მთელი ბურჟუაზიისათვის, რომ ამ ჯგუფს სია გაუქმებულად გამოაცხადეს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ვარშავის თვითმართველობის არჩევნებში, რომელიც რამოდენიმე თვის წინათ ჩატარდა, ამავე სიას ხმა მისცა **77,000** მუშამ და ის მაშინაც გაბათილებულ იქნა. ამასწინად მოხდა თვითმართველობათა გადარჩევა ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში, თემებში. აქ კომუნისტებმა თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს. ბევრგან მათ მიიღეს ხმების მთელი რაოდენობის **30 პროც.** ასეთ მოვლენებს ვხედავთ სხვა ქვეყნებშიაც. სადაც არჩევნებს ჰქონდა ადგილი.

ეს ფაქტები იმას მეტყველებენ, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მასების გამემარცხენება ჩქარის ტემპით მიმდინარეობს, და **რომ მასზე დღითი-დღე იზრდება** კომუნისტური პარტიის გავლენა.

ასე იზრდება დღეს კომუნისტური პარტიისა და მისი სექციების ჰეგემონია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ამ ზრდას დღეს ვერ შეაჩერებს ვერავითარი ძალა. აქ აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ კომუნისტური პარტიის მორალურ - პოლიტიკური პრიორიტეტი იზრდება — მსოფლიო სოციალ-დემოკრატიის მორალურ - პოლიტიკურ ხარჯზე.

საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიამ ულალატა თავის ისტორიულ პოლიტიკურ მისიას. სამაგიეროთ კომინტერნი განუწყვეტლივ ავრცელებს თავის პოლიტიკურ ჰეგემონიას ყველა ქვეყნებში და ჩქარის ტემპით ვითარდება.

შოთა გოგუა.

## შორაპნის მაზრის ყოფ. ახალგ. მარქსისტ. ხმა

შორაპნის მაზრის ყოფ. ახალგ. მარქს. აქტივის თათბირმა მოისმინა რა ამხ. დ. ბექუაშვილის მოხსენება, საერთაშორისო მომენტზე, და ქართული მენშევიზმის პოლიტიკაზე, აღიარებს, რომ საერთაშორისო მენშევიზმი, სავსებით გაშიშვლდა და ემსახურება კაპიტალიზმის დაცვის საქმეს. გერმანიის და ინგლისის ე; წ. მუშათა მთავრობის მაგალითებზე ჩვენ დავრწმუნდით, რომ მენშევიზმის დემოკრატიის გზას ჩვენ მივყევართ ბურჟუაზიის დიქტატურისაკენ და არა სოციალიზმისაკენ. ისტორიამ გაამართლა მარქსისტული თეორია, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიაზმისაკენ გარდამავალ პერიოდში აუცილებელია პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც პოლიტიკური საშუალება კულტურულად და ეკონომიურად ძლიერი ბურჟუაზიული კლასის დასამორჩილებლად და წარმოების მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ ფორმებზე გადასაყვანად.

ქართული მენშევიზმის გაკოტრებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი საქართველოში მენშევიზმის საბჭოთა ხელისუფლების მიმართ პოლიტიკურმა დაპირდაპირებამ და ბრძოლის ავანტიურისტულმა მეთოდებმა. ქართველი მშრომელი ხალხის ის ნაწილი, რომელიც ერთ დროს გაუგებრობით იდგა მენშევიზმის დროშის ქვეშ, ეხლა საბოლოოდ ჩამოსცილდა მას და გულწრფელად ემსახურება სოციალიზმის საქმეს, მუშებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ქართველი ემიგრაციის ლიდერებმა, დარწმუნებულმა ამაში, უკანასკნელად შეეცადენ, „პარტიული" ლოზუნგებით გავლენის მოხდენას ახალგაზრდობაზე, მაგრამ არც აქ გაუმართლდათ იმედი. ის ახალგაზრდობა რომელიც ერთ დროს მიყვებოდა ყოფ. ახ. მარქსისტების ორგანიზაციებს, დღეს უფრო ამხანაგებთან, ყოფ. მენშევიკებთან ერთად მივიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან და მზად არის თავისი ახალგაზრდული გამბედაობის და გატაცებით ახ. კომკავშ. ერთად იბრძოლონ კაცობრიობის უდიდესი მიზნისათვის — კომუნიზმისათვის.

ჩვენ ყოფ. ახ. მარქსისტების შორაპნის მაზრის აქტივი მოვუწოდებთ ყველას, ვინც კვლავ ყოყმანობს ერთხელ და სამუდამოთ უარყოს ეს მერყეობა და შეუერთდეს სანამ გვიან არ არის რევოლიუციონურ ოჯახს.

ბექუაშვილი დავით. შალამბერიძე აბესალომ. ყორდანია ელისო. დუგლაძე დავით. ჩხიკვიშვილი ზებედე, გოცაძე კონსტანტინე, ტაბატაძე შალვა. ხარშილაძე ხინო, კაპანაძე ნინო, ფხალაძე ვალოდია. სუხიაშვილი ქეთევან. შაქავარიანი ანდრო, წერეთელი პეტრე, ბოჯგაძე ენუქი. აბულაძე ვლადიმერ, არაბიძე გიორგი, ბერაძე ნადია, არაბიძე დავით. ბარბაქაძე გრიგოლ, გოცაძე ბარბალე. ბარამიძე ბენიამინ. არაბიძე მარკელი, ქიქინაძე ალექსანდრე. დუგლაძე კონსტანტინე. თორთლაძე სერგო. ბექუაშვილი მიხეილი, კაკოჩაშვილი ნესტორ, არაბიძე ცუცა, ქიქინაძე კალენიკე. ნადირაძე ალექსანდრე, აბჟანდაძე გიორგი, კალანდაძე ვლადიმერ.

## „მეტეხის კრიალოსანი"

ამ სათაურით მიმდინარე წლის 28 იანვარს, გამოვიდა მეტეხის პატიმართა სპეციალური 24 გვერდიანი ჟურნალი, რაც დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა წყობილებისა და სინამდვილისათვის.

ჟურნალში ნათლად სჩანს საბჭოთა ტუსაღი, მისი მეობა საპყრობილეში. მისი ყოფა-ცხოვრება და ის რეჟიმი, რომელიც გამეფებულია საერთოდ საბჭოთა ციხეებში.

ციხე, საპატიმრო — საშინელი სიტყვებია ჩვენი ძველის გაგებით, და ბურჟუაზიული თვალსაზრისით; მაგრამ, საბჭოთა ციხეები სრულიად არ გავს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ციხეებს; ჩვენ ციხეებში გამეფებულ რეჟიმი, ბურჟუაზიულ ზოგიერთ სახელმწიფოების „თავისუფლებაში" მყოფ მოქალაქეებსაც კი შეეხარბებათ მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიულ პრესას მაინც ყოფნის გამბედაობა დაჰგმოს საბჭოთა ციხის რეჟიმი. შეთხზას ათასი ჭორები ჩვენს „ციხეებში" გამეფებულ რეჟიმის შესახებ; რა გაეწყობა მიეჩვია ყური ბურჟუაზიისა და იმპერიალისტების ლაქიების, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეთხზულ ჭორებს.

ჟურნალში მოთავსებულია მხოლოდ პატიმრების წერილები: ე. ი. უკმაყოფილო ხალხის, რომელიც ამა თუ იმ ჩადენილ ბოროტმოქმედების გამო დატუსაღებულია. ამ ხალხს ვერ დავწამებთ საბჭოთა წყობილების გადამეტებულ სიყვარულს; ისინი გულწრფელად აღიარებენ „მეტეხის კრიალოსანში" მას, რასაც გრძნობენ და თვითონვე განიცდიან საბჭოთა ციხის რეჟიმის გამო.

უპირველესად ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ საპატიმროებს ეხლა არ ეწოდება ციხე, ან საპყრობილე, მას ჰქვიან **გამასწორებელი სახლი,** რომელიც ძირითადათ განსხვავდება ბურჟუაზიულ ციხეებიდან მით რომ ის არ სჯის დაპატიმრებულს, **არამედ ასწორებს.** მისი მიზანი არ არის დაპატიმრებულის წინააღმდეგ შურისძიება, ან მისი წამება, არამედ მისი გასწორება და ჩადენილ ბოროტმოქმედების მონანიება. ამ მიზნით კოდექსის თანახმად პატიმართათვის მოწყობილია სკოლა, რასაც საპატიმროში დათმობილი აქვს სპეციალური დარბაზი. არსებობს სკოლის გარეშეც კულტურულ - განმანათლებელი მუშაობა, რომლის მიზანია აამაღლოს პატიმარი გონებრივად და გაავითაროს მოქალაქობრივად. ალმზრდელობითი და გამასწორებელი ზომები კულტუ-

რულ - განმანათლებელ მუშაობის გარდა, ხორციელდება აგრეთვე წარმოებითი ხასიათის მუშაობითაც".

აი, ამ საშუალებებით ცდილობს საბჭოთა სასამართლო დაპატიმრებულის გამოსწორებას, მის სწორ გზაზე დაყენებას.

რამდენად ტარდება გამასწორებელ სახლებში ხსენებული საშუალებანი? ამის საპასუხოთ უკეთესია მოვუსმინოთ „მეტეხის კრიალოსანში" მოთავსებულ წერილების ავტორებს.

„გამსახლში კულტურული მუშაობა თანდათან ძლიერდება, სწერს ერთი მათგანი. 1927 წელს მოხდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ასი პროცენტით, გამსახლის ტუსაღთა შორის. გამსახლის ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას იჩენს კულტურულ მუშაობისადმი, რაც თავდებია იმისა, რომ მომავალში კულტურული საქმიანობა კიდევ უფრო გაიზრდება და გამასწორებული სახლი სავსებით გაამართლებს თავის სახელწოდებას. გარდა კულტურულ - განმანათლებელ კომისიისა, არსებობს სასკოლო განყოფილება, რომლის მიზანია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პატიმართა შორის. მეცადინეობა წარმოებს ჯგუფობრივად. თვითეულ ჯგუფს ყავს საკუთარი მასწავლებელი. მეცადინეობა სწარმოებს ყოველდღიურად მტკიცე ცხრილის მიხედვით. სასკოლო განყოფილებას მიზნად აქვს დასახული არ გავიდეს გამსახლიდან წერა-კითხვის არც ერთი უცოდინარი პატიმარი".

ამ ამონაწერს კომენტარიები არ სჭირია, ვინაიდან ამას სწერს ისეთი „დიდი ავტორიტეტი" — ამ შემთხვევაში, როგორიც არის თვით პატიმარი, რომელიც უშუალოდ იღებს მონაწილეობას გამსახლის ყოველდღიურ საქმიანობაში.

ეს კულტურულ დარგში. ეხლა განვიხილოთ, როგორ არის დაყენებული გამსახლებში საპროფესიო ცოდნა, აქაც უკეთესია წავიკითხოთ იმავე ჟურნალში მოთავსებულ პატიმრის წერილი:

„ფიზიკური შრომა მიმდინარეობს ენერგიულად, —სწერს ერთი პატიმარი, — გამსახლის ადმინისტრაცია აჩვევს პატიმართ მუშაობას და მით ერთის მხრივ უზრუნველყოფს პატიმრის ჯანმრთელობას, ხოლო მეორეს მხრივ აძლევს პატიმარს პროფესიონალურ ცოდნას.

მეტეხში ჯერ-ჯერობით არსებობს შემდეგი სამუშაო ცეხები: საბავშო სათამაშოების სახელოსნო, სადურგლო და სამკერვალო ქალებისათვის. მუშაობა ყველა სახელოსნოებში წარმატებით მიმდინარეობს!!".

პირადად მეც ვნახე ხსენებულ სახელოსნოების ნამუშევრები და პირდაპირ გაოცებაში მოვედი: შესანიშნავი სამკაულები, ნარდები, მაგიდები, ბეჭდები (ძვლის) კრიალოსანი, მრავალნაირი სათამაშოები და სხვადასხვა საჭირო ნივთები. ზოგი მათგანი პირდაპირ მხატვრულად არის შესრულებული.

ასე გვაცნობს მოკლედ „მეტეხის კრიალოსანი" გამსახლებში გამეფებულ რეჟიმს და იქაურ ყოფა-ცხოვრებას. ამის შემდეგ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამსახლი მართლა გაასწორებს პატიმარს და დაუბრუნებს მას საბჭოთა საზოგადოებას შრომის უნარიანობით აღჭურვილს.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, პატიმრები მაინც არ გვირჩევენ „ოდესმე გავხდეთ მათი ბედის მოზიარე". „დაიცავით თავისუფლება, მოუარეთ მას" გვეუბნებიან პატიმრები...

ჟურნალი „მეტეხის კრიალოსანი" გამოვიდა 28 იანვარს, რუსთაველის თეატრში, გამსახლის კულტკომისიის საღამოს გამართვის გამო, მაგრამ სასურველია და პოლიტიკურად დიდათ საჭიროც ხსენებულ ჟურნალს დროგამოშვებით გამოცემდენ.

**უპარტიო.**

# მუშათა თეატრი

## „რღვევა"

მუშათა თეატრის რუსულმა დრამამ დასდგა ლავრენევის პიესა „რღვევა".

ლავრენევი შეხო რევოლიუციის ერთ ეპიზოდს. სახელდობრ: კრეისერის „ავრორა"-ს გამოსვლას, რომელიც მოხდა ისტორიულ ღამეს — 25 ოქტომბერს. კრონშტატის რევოლიუციონერების ძლევა - მოსილი სვლა ძველი პიტერისკენ!

თემა გაშლილია არაჩვეულებრივი სიმძლავრით. ერთის მხრივ — დროებითი მთავრობის სულთმობრძავ, შავრაზმული მოქმედება და მეორეს მხრივ — ბალტიის ფლოტის და მატროსების მასსიური გამოსვლა დაპირისპირებულია დიდი კონტრასტით. პიესაში ხდება ორი სამყაროს შეჯახება. გამარჯვება რჩება რევოლიუციონურ პათოსით გამსჭვალულ ახალ ქვეყანას. „რღვევა"-ში თვალნათლივ არის მოცემული სოციალური კოლიზია და ავტორის აზრიც, რომ მას უნდოდა მოეცა ოქტომბრის წინამორბედი მატროსების რესპუბლიკა სავსებით გამართლებულია. ამ მხრივ პიესა განსაკუთრებით საყურადღებოა. ლავრენევმა შესძლო მასსიურ პსიხოლოგიის დრამის მოცემა და სოციალურ შინაარსთან ერთად გვიჩვენა ძველი წესწყობილების ოჯახის დაშლა. „რღვევა" ნამდვილი დარღვევაა ძველი ცხოვრების და ძველი პრინციპების. პიესა დაშორებულია აგიტკის სიმშრალეს და თანამედროვე ახალი ყოფა-ცხოვრება მოცემულია რეალურ ახალი თვალსაზრისით.

ლავრენევის პიესა იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა დრამატურგია შეუჩერებლივ იზრდება და წინ მიდის. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა თეატრების მიღწევებში ჯერ-ჯერობით ს. ტრეტიაკოვის „იღრიალე ჩინეთო"-ს უნდა მივაკუთვნოთ პირველობა. ტრეტიაკოვის პიესის არქიტექტონიკა უფრო მონუმენტალურია და ამას გარდა, გამოყენებულია ძველი ხალხური მელოდრამის ფორმები, რაიც „იღრიალე ჩინეთო"-ს ზეგავლენა მაყურებელზე უფრო მძლავრია, ვიდრე ლავრენევის „რღვევაში". მაგრამ რუსეთის თეატრებისთვის ორივე პიესას დიდი მნიშვნელობა აქვს. ტრეტიაკოვმა მოგვცა ახალი გმირული დრამა, ლავრენევმა ახალი ყოფა-ცხოვრების დრამა და ორივე პიესა საბჭოთა ახალ ხელოვნებისთვის — ნაბიჯია წინ.

მუშათა თეატრის რუსულმა დრამამ ეს პიესა კარგ ხაზებში დადგა. კარგია როგორც დეკორატიული მხარე, ისე არტისტთა ანსამბლი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პერსონაჟები უფრო წინ არიან წამოწეული, ვიდრე მასსა. ეს რეჟისორის შეცდომაა. მთავარი გმირი ამ პიესაში მასსაა. მასსიური პსიხოლოგიის ტალღა, მისი განცდა, რევოლიუციონურ პათოსის ნების - ყოფა. სწორედ ეს ვერ არის გადმოცემული მძაფრათ. განსაკუთრებით მეორე აქტი ამ მხრივ მოისუსტებს. მასსის განწყობილება, მისი ემოციები უნდა უმაღლეს წერტილზე ავიდეს. გაცილებით კარგია უკანასკნელი მოქმედება და განსაკუთრებით ფინალი. აქ უსათუოდ კარგად არის გამოყენებული თეატრის ეფექტები და სავსებით სჭიმავს მაყურებლის ნერვებს.

მუშათა თეატრის რუსულმა დრამამ შესძლო თანამედროვე ეპოქის გამოხმაურება. ეტყობა დასში დამყარებულია კარგი დისციპლინა, კოლექტიური სული და ალბად მომავალშიაც შესძლებს ასეთ დადგმების მოცემას.

**მანი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

პოლიგრაფტრესტის მე-8-ე სტამბა, კამოს ქუჩა № 68.